„თვითმმართველობა უყოყოყი ტაძაღვია საკუთრის ყოველგვაროს საქმიანობისა. საცა ერნდა ვდაფუაო, ეგი ყველგვარ საფრთხეს... ყოველი საკუთარი, რიგიანს ტუსაღად ცოცხალი თუ ფეფრალდ ვდაძღვაონი, ხარვიდი-ხარვიდალდ ანის ვდაყოფილია, რომ ძიაღდა ვდა ანგრეთხრა აკდვიდი იყის.”

ხობის მოამბე

№5 (7120) 22 ივნისი,
ორშაბათი, 2020 წელი.
ფასი 0.70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

ხობში საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა

საქართველოს ვიცე-პრემიერმა, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა, 77-ე საზოგადოებრივი ცენტრი ქალაქ ხობში გახსნა. ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის წევრი დაჩი ბერაია, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული ალექსანდრე მოწერელია, ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა ესწრებოდნენ.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილ შენობაში, ადგილობრივი მოსახლეობა, სახელმწიფო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი მომსახურებით სარგებლობას შეძლებს.

მომხმარებელს ე.წ. ერთი ფანჯრის პრინციპით შეუძლია, აიღოს პასპორტი, პირადობის მოწმობა, განახორციელოს უძრავი ქონების რეგისტრაცია, მიიღოს საკადასტრო გეგმა თუ საარქივო მომსახურება და სხვ.

საზოგადოებრივი ცენტრის შენობა შშმ პირებზე არის ადაპტირებული.

ხობის საზოგადოებრივ ცენტრში განთავსდა უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, სადაც, ელექტრონულ წიგნებთან ერთად, ბეჭდური გამოცემებიც არის დაცული. ცენტრში ხელმისაწვდომია კომპანიების–„მაგთისა“ და „ლიბერთი ბანკის“ მომსახურებაც.

ხობში მცხოვრები პირების სამოქალაქო ჩართულობის სტიმულირებისთვის, ცენტრში თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი შეხვედრების დარბაზია მოწყობილი, სადაც სხვადასხვა შინაარსის საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრის, პრეზენტაციებისა და დისტანციური სწავლების ჩატარებაა შესაძლებელი.

13 ივნისის ტრაგედიიდან ხუთი წელი გავიდა

2015 წლის 13 ივნისის ტრაგედიიდან ხუთი წელი გავიდა. თბილისში, ვერეს ხეობაში უეცრად მოვარდნილმა ღვარცოფმა 21 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 2 კი დღემდე დაკარგულად ითვლება. 13 ივნისის ტრაგედიას ემსხვერპლნენ ხობელი დები ინდირა და ლიზი ზარანდიები.

მათ ხსოვნას პატივი მიაგეს და საფლავები ყვავილებით შეამკეს ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ მახარე ჩოკორაიამ, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ბექა მამაცაშვილმა, საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ ქანთარიამ და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებმა.

ძველ ხიბულაში საბავშვო ბაღს ახალი შენობა გადაეცა

ბიძინა ივანიშვილის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუ“-ს დაფინანსებით, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველ ხიბულაში ახალი საბავშვო ბაღი აშენდა და მუნიციპალიტეტს გადაეცა.

60 აღსაზრდელზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი ბაღი ხობის მუნიციპალიტეტს ფონდის გამგეობის თავმჯდომარემ, **ნიკოლოზ ჩხეტიანმა** გადასცა.

ძველ ხიბულაში, ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით, უკვე დასრულდა ზვიად გამსახურდიას მემორიალური სახლის მშენებლობა, რომლის კონცეფციაზე მუშაობა სპეციალისტებთან ერთად მიმდინარეობს. ხიბულაში ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით მიმდინარეობს ეკლესიის მშენებლობა.

მხოლოდ ხიბულაში მიმდინარე პროექტების მშენებლობაზე „ქართუ“ ფონდიდან 6 000 000 ლარზე მეტი იხარჯება.

ფონდ „ქართუ“-ს გამგეობის თავმჯდომარესთან ერთად ძველ ხიბულაში პრემიერის მრჩეველი რეგიონულ საკითხებში სოზარ სუბარი და სამეგრელო ზემოსვანეთის სახელმწიფო რწმუნებული ალექსანდრე მოწერელია, ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა იმყოფებოდნენ.

ბიძინა ივანიშვილი სოფელ ძველ ხიბულაში გასული წლის 29 მარტს იმყოფებოდა, სადაც დანგრევის პირას მისული ის სახლი მოინახულა, სადაც ზვიად გამსახურდიამ სიცოცხლის ბოლო დღეები გაატარა და შენობის რეაბილიტაცია ფონდ „ქართუს“ დაავალა. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მოსახლეობას ახალი საბავშვო ბაღის და ეკლესიის აშენებას 1 წლის წინ დაპირდა.

ხობის მუნიციპალიტეტში სოციალური პროგრამები, რომლებიც პანდემიის პირველივე დღიდან ამოქმედდა, დღემდე გრძელდება. სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის, სამხარეო ადმინისტრაციის ხელმღვანელი პირების, ადგილობრივი ხელისუფლების, ხალხის, მედიცინის მუშაკების, სამართალდამცველების ერთიანობით, ჩვენი მუნიციპალიტეტი, საბედნიეროდ, მწვანე ზონაში დარჩა.

ხობის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ გოჩა ქაჯაიას ვთხოვეთ მკითხველისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია პანდემიის პერიოდში მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებზე, რომელსაც გთავაზობთ მცირეოდენი შემოკლებით.

სოციალური პასუხისმგებლობა, ერთიანობა და თანადგომა გვაძლიერებს...

ქალაქ ხობში, ცოტნე დადიანის და 9 აპრილის ქუჩები, ტროტუარები, ასევე ავტოსადგურის და ბაზრის მიმდებარე ტერიტორია სპეციალური სადეზინფექციო ხსნარით მოირეცხა.

ხობის მუნიციპალიტეტში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მერიის, საკრებულოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგანმანათლებლო და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები შედიან.

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დღიდან ტელევიზიისა და სოციალური ქსელის საშუალებით მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მიეწოდებოდა სხვადასხვა სახის ინფორმაცია ახალი კორონავირუსის პრევენციის მიზნით დაგეგმილი და გატარებული ღონისძიებების შესახებ. ასევე, მოსახლეობის ინფორმირება ხდებოდა სპეციალური ხმოვანი სიგნალის საშუალებით.

მერიაში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი. ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინებების შესაბამისად ხდებოდა მოქალაქეთათვის სხვადასხვა სახის დახმარების გაწევა.

ქვეყანაში გამოცხადებულმა საგანგებო მდგომარეობამ განაპირობა მთელი რიგი შეზღუდვები, მათ შორის მაღალი რისკჯგუფის მქონე პირების თვითიზოლაციაში ყოფნა. შესაბამისად, თავი იჩინა სოციალურმა პრობლემებმაც, რომლებიც საჭიროებენ მყისიერ და ეფექტურ რეაგირებას. არსებული ვითარების შესაბამისად, განისაზღვრა მუშაობის სპეციალური გრაფიკი: საჯარო მოხელეთა უმრავლესობა გადავიდა მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე.

ახალი კორონა ვირუსის გავრცელების საპრევენციო ღონისძიებების ფარგლებში, მოქალაქეთა უსაფრთხოების მიზნით, სადეზინფექციო სამუშაოები შპს „ხობი დასუფთავება და განათებამ“ და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა ერთობლივად განახორციელეს.

სადეზინფექციო სამუშაოები ასევე ჩატარდა საჯარო სკოლებში, ბიბლიოთეკებში, ადმინისტრაციულ შენობებში, საბავშვო ბაღებში, იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ ჩასახლებებში და მრავალბინიანი საცხოვრებელი ბინების სადარბაზოებში.

ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებ მოქალაქეებს, ავტომობილებით გადაადგილების შეზღუდვის პერიოდში, სურსათის, მედიკამენტების და სხვა აუცილებელი პროდუქტების მომარაგებაში (ტრანსპორტირება) მერის წარმომადგენლები და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები ეხმარებოდნენ. ხოლო, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში მოქალაქეთა ტრანსპორტირებას უზრუნველყოფდნენ. მერიის და საკრებულოს წარმომადგენლებმა 400-ზე მეტ ოჯახს გაუწიეს სხვადასხვა სახის დახმარება.

ხობის მუნიციპალიტეტში, პანდემიასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ცენტრალური ხელისუფლება, ადგილობრივი თვითმმართველობა, ბიზნესმენები და მოხალისეთა ჯგუფი სხვადასხვა სახის სოციალურ აქტივობებს ახორციელებდნენ.

მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოწყვლად ჯგუფებს და საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით და ბიზნესმენთა მხარდაჭერით სხვადასხვა სახის დახმარება გაეწიათ. კერძოდ:

ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად დაუცველმა 1419 ოჯახს ადგილობრივი ბიუჯეტით შესყიდული კვების პროდუქტების პაკეტი გადაეცა.

მოწყვლადი ჯგუფებისთვის პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტების შესაძენად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 55 000 ლარამდე დაიხარჯა.

საბავშვო ბაღის 1149 აღსაზრდელზე სამჯერ გაიცა პროდუქტების პაკეტი. საღდგომოდ, სათნოების სახლის ბენეფიციარებმა სადღესასწაულო ნობათი მიიღეს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კერძო სექტორის აქტიურობა და პანდემიის პერიოდში გამოჩენილი მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა. ბიზნესმენთა დახმარებით საკვები პროდუქტები ასევე, მედიკამენტები, ბავშვის საკვები და ჰიგიენის საშუალებები 1700-ზე მეტმა ოჯახმა მიიღო.

მედიკოსებმა ქარიატაში, ყულევში, პატარა ფოთსა და ჭალადიდში მცხოვრებ 750-ზე მეტ ადამიანს, დისტანციური თერმომეტრებით გაუზომეს ტემპერატურა. პროცესში „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“, სასოფლო ამბულატორიების ექიმები და მედდები იყვნენ ჩართულნი.

„ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“, შსს ხობის რაიონული განყოფილებასთან ერთად თვითიზოლაციაში მყოფი მოქალაქეების მონიტორინგს, სხვადასხვა სახის ინფორმაციის დამუშავებას და ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების დაცვის კონტროლს ახორციელებდა.

სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ ხობის ჰოსპიტალში „ცხელების ცენტრი“ მოეწყო. „ცხელების ცენტრის” შექმნის მიზანს, ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების კიდევ უფრო უკეთესად მართვა წარმოადგენს. „ცხელების ცენტრის” მედპერსონალმა გადამზადების სპეციალური კურსი გაიარა.

ქალაქ ხობში გაიხსნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი საზოგადოებრივი ცენტრი, ხოლო უახლოეს დღეებში საგანგებო სიტუაციების კორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრი გაიხსნება.

აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სუბსიდიით ხობის მუნიციპალიტეტის მცხოვრებმა 700-ზე მეტმა ბენეფიციარმა უკვე ისარგებლა.

მოქალაქეებს ბარათის მიღება სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრში, ასევე, ჭალადიდის და ხობის საზოგადოებრივ ცენტრებში შეუძლიათ.

პროგრამის ფარგლებში დიზელის საწვავის შეღავათიან ფასად შეძენას შეძლებენ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 0,25-დან 100 ჰექტარი ფართობის მიწის ნაკვეთის მფლობელი ფიზიკური და იურიდიული პირები. საწვავის ლიმიტი 1 ჰექტარზე 150 ლიტრის ოდენობით განისაზღვრა. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდას, რაც, თავის მხრივ, სასურსათო უზრუნველყოფასა და პროდუქციის თვითღირებულებაზე დადებითად აისახება.

პანდემიისა მიუხედავად, მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია შეუფერხებლად და ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად მიმდინარეობს.

სოფლებში მიმდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, საბავშვო ბაღების და საჯარო სკოლების მშენებლობა-კეთილმოწყობა, ნაპირდამცავი გაბიონების მოწყობა, ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია და გაზიფიცირება.

ლევან რატიანი: საქართველოს მთავრობამ შეუძლებელი გააკეთა

არც ერთ პარტიას არ მივეკუთვნები, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ საქართველოს მთავრობამ შეუძლებელი გააკეთა, – ამის შესახებ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორმა, ლევან რატიანმა „POSTV“-ის ეთერში განაცხადა.

„საქართველოს მთავრობამ ჯანდაცვის სამინისტროსთან, ბატონ თენგიზთან ერთად შეუძლებელი გააკეთა და ამისთვის მათ კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი. თითოეული ნაბიჯი, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან გადაიდგა–ადეკვატური იყო. მთავრობამ ამოცანა დასვა და დღეს ამ ამოცანის პასუხს ვიგებთ და ამის ერთ-ერთი მაგალითია ინფიცირებულების, გამოჯანმრთელებულების და ლეტალობის რაოდენობა. სადაც არ უნდა ვიყო, ყველაგან შემიძლია ვთქვა, რომ ეს კარგი შედეგი 100%-ით საქართველოს მთავრობის და სახელმწიფოს ყველა ჯაჭვის დამსახურება“,–აღნიშნა რატიანმა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან რატიანს მადლობის სიგელი გადასცა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ კორონავირუსთან ბრძოლის პროცესში გამოჩენილი თავდადებისთვის თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალურ დირექტორს, პროფესორ ლევან რატიანს მადლობის სიგელი გადასცა.

ლევან რატიანი ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ფოთში დაიბადა და გაიზარდა. ამავე სოფლის სკოლაში სწავლობდა. შემდეგ, სწავლა ფოთის მეორე გიმნაზიაში განაგრძო, რომელიც წარმატებით დაასრულა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტზე ჩაბარა, რომელიც წითელ დიპლომზე დაამთავრა. იმავე წელს სამედიცინო უნივერსიტეტის პოსტდიპლომურ სწავლებაში ჩაბარა ანესთეზია-რეანიმაციის მიმართულებით და ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი გახდა. პარალელურად, სწავლობდა სადოქტორო პროგრამაზე და 2012 წელს მედიცინის აკადემიური დოქტორი გახდა.

მან ექიმის კარიერა 2008-2011 წლებში ქალაქ თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების სამსახურის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმობიდან დაიწყო და საომარი მოქმედებების დროს გამოჩენილი პროფესიონალიზმისა და თავდადებისთვის კიდეც დაჯილდოვდა.

2010 წელს მაიამის უნივერსიტეტის ჯექსონის სახელობის კლინიკაში შინაგანი მედიცინისა და კარდიოლოგიის კურსები გაიარა. 2011 წლიდან დღემდე არის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პოსტდიპლომური, უწყვეტი პროფესიული განვითარების აკრედიტებული პროგრამის–„პრეჰოსპიტალური გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მართვა საგანგებო სიტუაციების დროს“–ავტორი და პედაგოგი. არ დარჩა კლინიკა, სადაც ორმოცდაათამდე სამედიცინო სტატიის ავტორმა, თავისი პროფესიული კვალი არ დატოვა.

დედაქალაქში მოღვაწე გმირი ხობელი მედიკოსები

კორონავირუსთან დაკავშირებით, ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოში და მათ შორის ხობის მუნიციპალიტეტში ბევრი ადამიანი გავიცანით დადებითი თუ უარყოფითი თვისებებით.

მინდა გაგაცნოთ ჩვენი დროის გმირები, ხობელი ახალგაზრდები: გიორგი ახალაია, მედეა ცხომარია, თამუნა გაბრავა, ლანა ბჟალავა, როზა ხურცილავა და მარიამ ტურავა, რომლებიც პანდემიის პერიოდში თბილისის სხვადასხვა კლინიკებში მუშაობენ, ,,კოვიდ 19“-ით დაინფიცირებულ პაციენტებს უვლიან და დაუღალავად ეხმარებიან იმ ადამიანებს, ვისაც მათი თანადგომა სჭირდება.

მიუხედავად დროის დეფიციტისა, მათ მოახერხეს, რომ გაგვცნობოდნენ, მოგვფერებოდნენ და თავიანთი სათქმელი მოკლედ ეთქვათ ხობელებისთვის.

გიორგი ახალაია

27 წლის, დაიბადა ქალაქ ხობში, დაამთავრა ხობის №1 საჯარო სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი. ის დიპლომირებული მედიკოსია.

„პირველი ახლო შეხება მედიცინასთან ხობის კლინიკაში მქონდა და ძალიან ტკბილად მახსენდება ზაფხულის ის ერთი თვე. შემდეგ უკვე რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში ვმუშაობდი, ასევე ნიუ ჰოსპიტალში. ამჟამად ვმუშაობ სიმონ ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში. ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია, რადგან ყველაზე ჰუმანური პროფესიაა და მსიამოვნებს, როცა ადამიანებს ვეხმარები. მედიცინის გარდა ძალიან მიყვარს წერა და როცა მოვიცლი, აუცილებლად გადავიტან ჩემს სათქმელს წიგნებში ლექსად თუ პროზაულად.

კორონავირუსი უდიდესი გამოწვევაა მთელი კაცობრიობისთვის და სწორედ ჩვენ, ყველას ერთად, შეგვიძლია დავამარცხოთ იგი. თითოეულ ჩვენგანს აკისრია დიდი თუ მცირე მისია მასთან ბრძოლაში და საჭიროა, ეს კარგად გავითავისოთ. ამჟამად ჩვენს კლინიკაში არ გვყავს კორონავირუსიანი პაციენტები, თუმცა ნებისმიერ დროს შეიძლება მივიღოთ და ჩავებათ ამ მძიმე ბრძოლაში. მანამდე კი ჩვეულებრივ ვაგრძელებთ მუშაობას უმძიმეს პაციენტებთან. რეანიმაცია ხომ სიკვდილ-სიცოცხლის სადარაჯოა,–ამბობს გიორგი. მას გამორჩეულად უყვარს ხობი და ხობელები.

„გული და სული მითბება ხობში რომ ჩავდივარ, ცოცხლდება ჩემი ბავშვობა. მიხარია და ვამაყობ ხობელი რომ ვარ. ხობელებს სულიერ და ხორციელ ჯანმრთელობას ვუსურვებ. თქვენს კეთილ საქმეებსაც თვალს ვადევნებ და ბედნიერი ვარ. ხობში ასეთი მზრუნველი ადამიანები რომ არსებობენ. იხარეთ და იბედნიერეთ. სიყვარული ხომ საუკეთესო მკურნალია!“

გიორგის მიზანია ადამიანების დახმარება, რათა თავისი წვლილი შეიტანოს ადამიანების გამოჯანმრთელებაში და სიცოცხლის ბოლომდე იყოს ღირსეული ხობელი. „ძალიან მიყვარხართ! გეფერებით დიდი სითბოთი და სიყვარულით! ეს ყველაფერი კარგად რომ ჩაივლის, ერთად აღვნიშნოთ ჩვენს პატარა, მაგრამ ძალიან დიდი სიყვარულით სავსე ხობში! მადლობა სიყვარულისთვის!“

მედეა ცხომარია

–დააამთავრა ქ. ხობის №1 საჯარო სკოლა. იმდენად პატარა იყო, როცა ექიმობაზე ოცნებობდა, არც ახსოვს როდის გადაწყვიტა ექიმობა. „ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ყოველთვის ექიმად წარმოვიდგენდი თავს, არასოდეს მიფიქრია სხვა პროფესიის არჩევაზე. ვფიქრობ, სწორი არჩევანი გავაკეთე,–ამბობს ის ჩვენთან საუბრისას.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი. იმყოფებოდა ERASMUS+ გაცვლითი პროგრამით ბულგარეთში. ახლა ანესთეზიოლოგი და რეანიმატოლოგიის მესამე წლის რეზიდენტია. პარალელურად მუშაობს რესპუბლიკურ საავადმყოფოში და ბოჭორიშვილის კლინიკაში, ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგიის განყოფილებაში.

„სამედიცინო სფეროში პრაქტიკული გამოცდილება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია თეორიულ ცოდნასთან ერთად. გამიმართლა, რომ ძალიან ძლიერ გუნდთან ერთად ვმუშაობ და ვიზრდები პროფესიულად. ექიმობა საკმაოდ რთული პროფესიაა, დიდ დროს, შრომას და ენერგიას მოითხოვს წარმატების მისაღწევად. ამ რთული გზის მიუხედავად, ამ გამოცდილებით მაინც იგივე გზას ავირჩევდი. ვფიქრობ, ჩემი თავი ვიპოვე ამ სფეროში. თუმცა, თუ ვინმე მკითხავს რჩევას მედიცინაზე სწავლის შესახებ, არავის ვურჩევდი. საქართველოში ამ ეტაპზე საკმაოდ დაუფასებელი პროფესიაა. ახლა ძალიან რთული პერიოდია, მსოფლიოში მძვინვარებს კორონავირუსის პანდემია. კლინიკები, სადაც მე ვმუშაობ, აქტიურად ჩაბმულია კოვიდ ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში. რეანიმაციული განყოფილება აღჭურვილია უახლესი აპარატურით. მზად ვართ მეტი პაციენტის მისაღებად. სტატისტიკა ყოველდღიურად იცვლება. ჩვენ მივყვებით მსოფლიოში აღიარებულ პროტოკოლს და ამ ეტაპზე კარგი შედეგები გვაქვს“,–ამბობს მედეა.

მედეა ძალიან არის შეყვარებული ხობზე. „ძალიან მიყვარს ხობი და გული მწყდება, ხშირად რომ ვერ ვახერხებ ჩასვლას. ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში, ჩემი ოცნების ახდენაში დიდი როლი აკისრია ხობელ ხალხს, ჩემს სკოლას და მასწავლებლებს, ამისთვის თითოეულს ძალიან დიდ მადლობას ვუხდი. ახლაც ვგრძნობ მათგან დიდ სიყვარულსა და მხარდაჭერას. ყველას მინდა ვუთხრა, რომ შეუძლიათ ჩემი იმედი ჰქონდეთ. იმედს ვიქონიებ, პროფესიული კუთხით არასოდეს დაგჭირდებით. (იღიმის)“.

თამუნა გაბრავა

–დაიბადა და გაიზარდა ქ. ხობში. დაამთავრა ქ. ხობის №1 საჯარო სკოლა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი. ჰყავს მეუღლე და ცხოვრობს თბილისში. მონაწილეობს სხვადასხვა პროგრამაში და კვლევაში. 10 წელია მუშაობს სხვადასხვა კლინიკის (ქირურგიის ეროვნული ცენტრი, ალადაშვილის კლინიკა, კლინიკა „ჯერარსი“, ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკა) რეანიმაციულ და გადაუდებელ დეპარტამენტებში. პარალელურად არის ლიცენზირებული კარდიოლოგი.

,,ხობთან და განსაკუთრებით სკოლასთან არის დაკავშირებული სავსე ტკბილი მოგონებები. არასდროს მიფიქრია სხვა პროფესიაზე,

4

დედაქალაქში მოღვაწე გმირი ხობელი მედიკოსები

3

რისთვისაც მადლობას ვუხდი დედას (შორენა საბახტარაშვილი). ექიმობა ეს არის მთელი ჩემი ცხოვრება, ადრენალინი, პროფესია, რომელიც მაძლევს სტიმულს ადამიანებს გავუწოდო დახმარების ხელი. ჩემი ცხოვრების განვლილმა ეტაპმა დამარწმუნა პროფესიის არჩევაში მიღებული გადაწყვეტილების სისწორეში.

ექიმობა ეს არის პროფესია, რომელიც წარმატების მისაღწევად მოითხოვს დიდ შრომას, ენერგიას და უძილო ღამეებს. არასოდეს მინანია არჩეულ პროფესიაზე. წლებია უძლიერეს გუნდთან ერთად ვმუშაობ და ვვითარდები. ძალიან მძიმე პაციენტებთან მიწევს მუშაობა რეანიმაციულ განყოფილებაში, თუმცა უდიდესი გამოწვევა იყო ჩემთვის კორონა ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა. თითოეული გადარჩენილი პაციენტის სიცოცხლე მმატებს ენერგიას, ბრძოლის უნარს შემდგომი სიცოცხლის გადასარჩენად.

დღეს მთელ მსოფლიოში მძინვარებს COVID 19-ის პანდემია. ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკა ჩაბმულია კოვიდ ვირუსთან ბრძოლაში. მადლობა მინდა გადავუხადო პროფესიონალურ გუნდს დაუაღალავი შრომისთვის და თავდადებისთვის, რომ წარმატებით მიმდინარეობს ბრძოლა დღეს არსებულ ვერაგ კოვიდ ვირუსთან. ჩვენს კლინიკაში ყოველდღიურად მატულობს გამოჯანმრთელებულ პაციენტთა რაოდენობა“.

თამუნას ოცნებაა პანდემიის გარეშე, მშვიდობიან საქართველოში სიყვარულით ცხოვრება, წარმატებული კარიერა და ბევრი გამოჯანმრთელებული პაციენტი.

ხობზე ამბობს, რომ ეს ის ადგილია, რომელიც ყოველთვის ენატრება, „...სულ მენატრება ჩემი ხობი, რომელიც აღმავსებს დადებითი და ტკბილი ემოციებით. ემოციები, რომელებიც დაკავშირებულია ოჯახთან, ხობელებთან, ჩემს მეგობრებთან და მასწავლებლებთან. თითოეულ მათგანს მინდა მადლობა გადავუხადო სითბოსთვის, სიყვარულისთვის და თანადგომისთვის. ყოველთვის მზად ვარ მხარში ამოვუდგე ჩემს ხობელებს, თუმცა არ ვისურვებდი ჩემი პროფესიით (იღიმის). ყველას და მათ შორის ხობელებს ვურჩევ გაითვალისწინონ ეპიდემიოლოგთა რეკომენდაციები. თითოეულ მათგანს ვუსურვებ ჯანმრთელობას, სიყვარულს და წარმატებებს“.

ლანა ბჟალავა

დაიბადა ხობის მუნიციპალიტეტის პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში. სწავლობდა ქალაქ ფოთის მე-8 საჯარო სკოლაში, შემდეგ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე. ამჟამად მუშაობს პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში რეანიმაციულ განყოფილებაში. რეანიმაციაში მუშაობა იმდენად დიდი და საინტერესო გამოწვევა იყო მისთვის, ჩაბარა საექთანო ფაკულტეტზე, მიუხედავად, იმისა, რომ ამ პროფესიით ამ ეტაპზე არ მუშაობს, აქვს გეგმები პროფესიული წინსვლის.

„რეანიმაციაში ვისწავლე ბევრი რამ, რაც ცხოვრებაში ყოველთვის გამომადგება, გუნდურობა, შრომა და ბოლოს სიხარული მადლიერების გრძნობის, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში გაწერილი პაციენტები გამოხატავენ. ძალიან სასიამოვნოა, როცა შეგიძლია ადამიანს დაეხმარო, ვინც ამას საჭიროებს, მცირეოდენი წვლილიც კი სიხარულს განიჭებს, როცა მათ ეხმარები.

რთულია, რეანიმაციულ განყოფილებაში მუშაობდე, მაგრამ ორმაგად რთული გახდა, როცა კოვიდ ინფიცირებული პაციენტები მივიღეთ. არ ვიცოდით, რა როგორ გაგვეკეთებინა, მაგრამ მთელმა გუნდმა ერთად თავდაუზოგავი შრომით ყველაფერი შევძელით. დღევანდელი შედეგიც ამას მოწმობს. ეს თავდაუზოგავი შრომის შედეგია, რაც ძალიან საამაყო და დასაფასებელია, როცა ძლიერი გუნდი გყავს შეუძლებელიც არაფერია, მთავარია, არ შეუშინდე“–ამბობს ლანა.

თუ რას ფიქრობს ლანა ვირუსთან მებრძოლ ექიმებზე, ის გვპასუხობს: „ვფიქრობ, რომ ეს ადამიანები არიან ძალიან ძლიერები, ინარჩუნებდე სიმხნევეს ასეთ დროს და ებრძოდე ასეთ ვირუსს, ადვილი არაა. თავიდან არის დაბნეულობა, შიში, მაგრამ ამავდროულად არ კარგავენ ხალისს, ეს მათი სიძლიერის და ოპტიმისტური დამოკიდებულების შედეგია. ჩვენი ძლიერი ექიმები, მედპერსონალი, თავდაუზოგავად 24 საათიან რეჟიმში არიან ჩართული კოვიდთან ბრძოლაში ოჯახისგან მოშორებით, რასაც თან ახლავს მონატრება, შიში და ბევრი უძილო ღამე“.

ლანას ოცნებაა, მალე მორჩეს კოვიდთან ბრძოლა, დაუბრუნდეს ყველა ჩვეულ ცხოვრებას, ოჯახს, მეგობრებს, ვინც ვერ ახერხებს ამ რთულ პერიოდში მათ ნახვას–„ახლა ეს არის მთავარი ჩემთვის და დარწმუნებული ვარ, ყველასთვის დავუბრუნდეთ ჩვეულ ცხოვრებას. მე პირადად დიდი ხანია ოჯახი, მეგობრები არ მინახავს, როგორც ბევრ სხვას, მაგრამ საოცარი ექიმების წყალობით მალე შევძლებთ საბოლოოდ შეწყდეს კოვიდთან ბრძოლა. ამ პერიოდში გაორმაგებულად მივხვდი, რომ მთავარია ერთიანობა და სიყვარული, საოცარი თანამშრომლები მყავს და ძალიან ვამაყობ, რომ ამ გუნდის წევრი ვარ. ხობში ძალიან თბილი ხალხი ცხოვრობს. მინდა ხობელებს ბევრი სიკეთე, ჯანმრთელობა, სითბო, წარმატება, ურთიერთსიყვარული და ბედნიერად, მშვიდობიან გაბრწყინებულ ქვეყანაში ცხოვრება ვუსურვო. მთავარი ერთმანეთის მიმართ სიყვარულია და ყველაფერი კარგად იქნება. ჩვენ გავიმარჯვებთ და საბოლოოდ დავამარცხებთ კოვიდ-19“.

როზა ხურცილავა:

–დაიბადა და გაიზარდა ხობის მუნიციპალიტეტის პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში. დაამთავრა პატარა ფოთის საჯარო სკოლა. ცხოვრობს თბილისში, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. მუშაობს პირველ საუნივერსიტეტო კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში.

ძალიან თბილად იხსენებს ხობში გატარებულ წლებს, სკოლის პერიოდს და კლასელს, დღეს ცნობილ ექიმს ლევან რატიანს–„მყავდა უსაყვარლესი პადაგოგები და უსაყვარლესი კლასელები, მათ შორის იყო უნიჭიერესი ლევან რატიანი, რომელიც არის საუკეთესო ადამიანი, თბილი, მოსიყვარულე, მეგობრული, მზრუნველი, შრომისმოყვარე, კარგი ოჯახის შვილი. მიხარია, რომ ლევანი დღეს მსოფლიოში ცნობილი გმირი ექიმია.

სამედიცინო სფეროში მუშაობა ძალიან საპასუხისმგებლოა, უსაზღვროდ გახარებული ვარ, როდესაც ვიგებ ექიმებისგან, რომ პაციენტი უკვე გამოჯანმრთელდა და გაწერას უპირებენ. ვნატრობ ხოლმე, რომ ჩემს მოყვრიგეობაზე გაიწეროს, რადგან მათი ბედნიერი და მადლიერი თვალები ვნახო... და თუ ცუდად მთავრდება ყველაფერი, ძალიან განვიცდი.

ყოველთვის მიყვარდა ჩემი პროფესია, ბედნიერი ვარ, რომ ამ სფეროში აღმოვჩნდი. უფალს ვთხოვ, ჩემი ქვეყანა იყოს ერთიანი და ძლიერი. მიყვარს ჩემი ხობი და ხობელები, მინდა მყავდეთ ჯანმრთელები და ბედნიერები“.

მარიამ ტურავა

–არის 24 წლის, დაიბადა და გაიზარდა სოფელ ხეთაში. 2013 წელს დაამთავრა ხეთის საჯარო სკოლა. 2015 წელს თბილისის სამედიცინო კოლეჯი, სადაც ექთნის პროფესიას დაეუფლა. ახლა სწავლობს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის უნივერსიტეტში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე.

ექთნის პროფესიით მუშაობს თბილისის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

როგორც მარიამი ამბობს, სამედიცინო სფეროთი ბავშვობიდან იყო გატაცებული: „ექთნის პროფესია ბავშვობიდან მომწონდა და იქცევდა ჩემს ყურადღებას. მუდმივად მქონდა სურვილი ჩამეცვა თეთრი ხალათი, დავხმარებოდი ადამიანებს და წვლილი შემეტანა სიცოცხლის გადარჩენაში. თავიდანვე მქონდა გააზრებული ისიც, რომ აუცილებლად უნდა მემუშავა მძიმე პაციენტებთან, ამიტომ ავირჩიე რეანიმაციული განყოფილება.

ახლა კი, როცა მსოფლიო და საქართველო ებრძვის კოვიდ–19-ს, არცერთი წამით არ ვნანობ და არ ვაპირებ უკან დახევას, პირიქით, უფრო მობილიზებული ვარ და მინდა, რომ რაც შეიძლება მეტ ადამიანს დავეხმარო და მეტი სოცოცხლის გადარჩენაში ვმონაწილეობდე.

გვყავდა ვირუსით დაავადებული პაციენტები, მინდა გითხრათ, რომ ძალიან რთული იყო, როგორც ემოციური თვალსაზრისით, ისე ფიზიკურად დაინფიცირებულ პაციენტებთან მუშაობა და მათი მკურნალობა, მაგრამ ვფიქრობ, ყველაფერს აქვს დასასრული და ახლა ამ ეტაპზე ჩვენს კლინიკაში ძალიან ცოტა დაინფიცირებული პაციენტი გვყავს და ვფიქრობ, მალე დავუბრუნდებით მუშაობის ჩვეულ რეჟიმს.“

რა არის მისი ოცნება? მარიამი ასე გვპასუხობს „არ ვიცი რამდენად სწორი იქნება იმ ჩამონათვალს ოცნება დავარქვა, ალბათ უფრო სურვილები მაქვს, რომელსაც აუცილებლად მივაღწევ. ზოგადად კი ვისურვებდი, რომ ჯანსაღ და სიკეთით სავსე გარემოში ვიცხოვროთ“.

მარიამს ჰყავს მცირეწლოვანი შვილი, რომელიც პანდემიის პერიოდში სამსახურიდან გამომდინარე 41 დღის განმავლობაში არ უნახავს.

„29 მარტიდან 11 მაისამდე არავისთან კონტაქტი არ მქონია, გარდა სატელეფონო საუბრისა. რთული იყო ნამდვილად, თან შვილთან კამერითაც ვერ ვსაუბროდი, რადგან ძალიან ღიზიანდებოდა“.

თუ რას ფიქრობს ხობზე–მარიამი ამბობს: „ჩემი ტკბილი წარსული და ბავშვობა უკავშირდება ხობს, როცა ჩამოვდივარ მშობლიურ მხარეში მთლიანად ვივსები დადებითი ემოციით და ბედნიერი ვარ იქ გატარებული თითოეული წუთით.

მიყვარს ჩემი მუნიციპალიტეტის და სოფლის ყველა ადგილი, დიდი ხნის მონატრებული როცა ჩამოვდივარ, სახლში მისვლამდე ქუჩაში შემხვედრ ყველა უცნობ ადამიანში ჩემი ოჯახის წევრს ვხედავ, რომელსაც შემიძლია ჩავეხუტო.

ჩემიანებს (ასე მოიხსენიებს ხობელებს) ვუსურვებ ჯანმრთელობას და იმ მთავარი ხიბლის არ დაკარგვას, რაც აქამდე მოგვყვა. სითბო და ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობა არ დაგვეკარგოს არასდროს.“

ექიმობა რთული საქმეა. იყო ჭეშმარიტი ექიმი, ამისთვის მარტო იცნობდე მეცნიერებას და იცოდე მკურნალობა, არაა საკმარისი, აუცილებელია იყო ნამდვილი ადამიანი და იცოდე ცხოვრებაზე თითქმის ყველაფერი. ექიმს უნდა ჰქონდეს მუშაობის სასიკეთო მორალური გარემო, რომ გადაიტანოს თავისი პროფესიის ყველა სირთულე...

თქვენ ეს ყველაფერი გქონდათ... პანდემიის პერიოდში იოლად გადაიტანეთ თქვენი პროფესიის ყველა სირთულე... თქვენსა და ავადმყოფს შორის იყო სიყვარული და თანაგრძნობა... ამით კი დაამტკიცეთ, რომ ხართ პროფესიონალები...

მე კი შემიძლია ვთქვა, რომ სამყაროს სიკეთე მართავს, სიკეთე ალამაზებს, ჩუმი სიკეთე. ცივი გულით, ვფიქრობ, ვერ გახდები ექიმი, სწორედ სიკეთის კეთება იყო პანდემიის პირობებში ყველაზე დასაფასებელი მოვალეობა... თქვენისთანა ადამიანები ალამაზებენ ამ სამყაროს... თქვენ ხართ ჭეშმარიტი მედიკოსები თქვენმა სიკეთემ შექმნა რწმენა, იმისა, რომ ყოველთვის გაუფრთხილდებით ადამიანის სიცოცხლეს... თქვენი სფერო ის სფეროა, სადაც მოდიან განწირული ადამიანები და თქვენგან დროულ დახმარებას, დიდ მხარდაჭერას და სიცოცხლის გახანგრძლივებას ელოდებიან... ჩვენი მოვალეობა კი–მეტი ყურადღება დავუთმოთ ჯანმრთელობაზე ზრუნვას...

წარმატებებს ვუსურვებ ამ საამაყო ხობელ ახალგაზრდებს... ხობი იყო და მჯერა, რომ სულ იქნება გამორჩეული, წარმატებული, განათლებული ადამიანების მუნიციპალიტეტი...

გვიყვარხართ და გვეიმედებით.

ირინე ფილიპია, ჟურნალისტი

სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია

„დღეს სოფლად ცხოვრობს ჩვენი მოქალაქეების დიდი ნაწილი და ძლიერი სოფელი პირდაპირ ნიშნავს ძლიერ ქვეყანას და ძლიერ სახელმწიფოს. ქართველი კაცის დამოკიდებულება მიწასთან ყოველთვის განსაკუთრებული სპეციფიკით გამოირჩეოდა, ამიტომ ჩვენ შევიმუშავეთ პროგრამა, რომელიც დამყარებულია როგორც ფერმერის და ფერმერობის მხარდაჭერაზე, ისე იმ ხარისხობრივი ნიშნების შემოტანაზე ფერმერულ მეურნეობაში, რომელმაც ერთმნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სოფლის-მეურნეობის სამინისტროს რეგიონებთან და ჩვენს ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, ამ დარგში არსებული კრიზისებისა და გამოწვევების მართვის ძალიან კარგი გამოცდილება აქვს. ეს შეიძლება იყოს მაგალითად აზიური ფაროსანა, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო ფერმერებთან და ასოციაციებთან ერთად აბსოლუტურად ეფექტურად გაუმკლავდა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ამ პროგრამის შედეგი უნდა იყოს, რომ აგრარული პროცესი ქვეყანაში არც ერთი დღით არ უნდა გაჩერდეს და ქვეყანაში არ დარჩეს დაუმუშავებელი მიწა. **ამ მიზნით მთავრობამ შეიმუშავა იმ პროგრამების კონკრეტული გეგმა, იმ პროგრამების დაფინანსების გასაზრდელად, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროში ფერმერების დასახმარებლად უკვე არსებობს. ამასთან ერთად, შევიმუშავეთ სპეციალური დამატებითი ღონისძიებებიც...**

ჩვენ ვეხმარებით ფერმერებს, სოფელს, ესაა ზრუნვა არა მხოლოდ სოფელში მცხოვრებ ადამიანებზე, არამედ ჩვენს თითოეულ მოქალაქესა და ქვეყნის აგროსასურსათო უსაფრთხოებაზე. გარდა ამისა, მინდა, თითოეულ ფერმერს მოვუწოდო, ყველა ის მიწა, რომელიც მათ აქვთ სარგებლობაში და შეუძლიათ იყოს რეგისტრირებული, რაც შეიძლება სწრაფად დაარეგისტრირონ, რათა გახდნენ ბენეფიციარები ყველა იმ პროგრამისა, რასაც დღეს ხელმწიფო მათ სასარგებლოდ ახორციელებს... მადლობა ლევან დავითაშვილს, შთამბეჭდავი ციფრები და კარგი ნამუშევარია. ეს არის ჩვენი და ამ პროგრამის მიზანი. გარდა ამისა, შემდეგი მიზანი, რაც სისტემური გამოწვევაა სოფლის მეურნეობის დარგისთვის, ეს არის დარგის ინდუსტრიალიზაცია, ჩვენ გვჭირდება ინდუსტრიული სოფლის მეურნეობა და რა თქმა უნდა, პროდუქტიულობის ზრდა. ეს ის გა მოწვევებია, რომლებსაც ჩვენ წლებია ვებრძვით, სადაც გარკვეული წარმატებები გვაქვს.

ერთადერთი რაც უნდა მოვუწოდოთ ჩვენს მოქალაქეებს, შეიძინოთ ქართული პროდუქტები, რომელიც ხდება უფრო და უფრო ხარისხიანი და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენი აგროსასურსათო უსაფრთხოების დაკმაყოფილების შემდგომ, ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქტები იყოს კონკურენტუნარიანი საერთაშორისო ბაზრებზე. ჩვენ ეს შეგვიძლია და ეს უნდა გავაკეთოთ“.

მცირემიწიანი ფერმერების დახმარება

„ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უკავშირდება ფერმერების დახმარებას, ეს არის პირდაპირი დახმარება–სუბსიდირება იმისთვის, რომ ფერმერებს წარმოება გაუმარტივდეთ და გაუიაფდეთ; მათთვის ხელმისაწვდომი იყოს სხვადასხვა მასალა, რომელიც სოფლის მეურნეობაში გამოიყენება“,–განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

იწყება ახალი სახელმწიფო პროგრამა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება“.

პროგრამა ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო საქონლისა და ხვნის მომსახურების ღირებულების სუბსიდირებას. პროგრამით გათვალისწინებული სუბსიდიის მისაღებად საჭიროა, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საკუთრებაში ჰ ქონდეთ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. სუბსიდიის მოცულობა 1 ჰექტარ მიწაზე განისაზღვრა 200 ლარით (აგრობარათზე დარიცხული 200 ქულით). 0.25 ჰა-დან 1.25 ჰა-მდე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შესაძლებლობა ექნება ბარათზე დარიცხული ქულები გამოიყენოს შემდეგი სასოფლო-სამეურნეო საქონლის შესაძენად:

სასუქები და მცენარეთა დაცვის ქიმიური/ბიოლოგიური საშუალებები; მცენარეთა მოვლის ქიმიური/ბიოლოგიური საშუალებები; სათესლე და სარგავი მასალები.

1.25 ჰა-დან 10 ჰა-მდე და მეტი ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს ბარათზე დარიცხული ქულების გამოყენების შესაძლებლობა ექნებათ, როგორც ზემოაღნიშნული სასოფლო-სამეურნეო საქონლის, ასევე სასოფლო-სამეურნეო მიწის აგროტექნიკური (ხვნის) სამუშაოების მომსახურების შესაძენად. პროექტის ფარგლებში, არაუმეტეს 10 ჰექტრისა ერთიანი მიწის ნაკვეთებისთვის სუბსიდია შეადგენს მაქსიმუმ 2000 ლარს. პროგრამით ისარგებლებს 200,000-მდე ფერმერი. პროგრამის ბიუჯეტი 37 000 000 ლარია და პროგრამის განხორციელება დაიწყო 2020 წლის 20 მაისიდან.

ზრუნვა სოფელზე და ფერმერზე

სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მფლობელები დიზელის საწვავს შეღავათიან ფასად მიიღებენ

ლევან დავითაშვილი: „სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მფლობელებისთვის დიზელის საწვავის შეღავათიან ფასად შეძენის შესაძლებლობა არ არის მოკლევადიანი პროექტი და მხოლოდ ანტიკრიზისული გეგმის ნაწილი. ამ პროექტის ინიციატორი იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია. ***ეს პროექტი მომავალ წლებშიც გაგრძელდება და მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება ფერმერებისთვის“.***

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 0,25-დან 100 ჰექტარი ფართობის მიწის ნაკვეთის მფლობელი ფიზიკური და იურიდიულ პირებს, ახალი სახელმწიფო პროექტის ფარგლებში, დიზელის საწვავს შეღავათიან ფასად იყიდიან. პროექტის ფარგლებში, საწვავის ლიმიტი 1 ჰექტარზე 150 ლიტრის ოდენობით განისაზღვრა. პროგრამის ბენეფიციარები აგროტექნიკური სამუშაოებისთვის საჭირო დიზელის საწვავს, ბაზარზე არსებულთან შედარებით, მნიშვნელოვნად დაბალ ფასად იყიდიან. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდას, რაც, თავის მხრივ, სასურსათო უზრუნველყოფასა და პროდუქციის თვითღირებულებაზე დადებითად აისახება. პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 0.25 და მეტი ჰექტარი მიწის ნაკვეთის მფლობელ ყველა ფიზიკურ და იურიდიული პირს.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

შეიცვალა მუშაობის ფორმა და სტილი

ახალმა კორონა ვირუსმა (COVID-19) დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება და მისი სტრუქტურული ერთეულები. შეიცვალა მუშაობის ფორმა და სტილი.

ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ფუნქციონირების დროებით შეწყვეტის გამო, საბავშვო ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი შეჩერდა. ჩვენი მიზანი იყო შეუფერხებლად გაგვეგრძელებინა სასწავლო პროცესი. შევქმენით ალტერნატიული სწავლების ფორმა–დისტანციური მოდული და პირველივე დღიდან დავიწყეთ სასწავლო გეგმის შესაბამისად გაწერილი პროგრამის მიხედვით აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება. აღმზრდელ-მასწავლებლებმა აქტიურად დაიწყეს სააღმზრდელო-შემეცნებითი ვიდეო–აქტივობების განთავსება მათ მიერვე შექმნილ დახურულ ფეისბუქ-ჯგუფებში. მშობლებისთვის ამ ფორმატით აქტივობების მიწოდება ადვილად ხელმისაწვდომი გახდა და ისინი აქტიურად ჩაერთვნენ დისტანციურ ურთიერთობებში. ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, სახლში ყოფნის პერიოდი ბავშვებისათვის საინტერესო და შემოქმედებითი ყოფილიყო.

მთელი ამ ხნის მანძილზე შეუფერხებლად მიმდინარეობს დისტანციური სწავლება ხობის მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო ბაღში. ამ პროცესში ჩართულები არიან საბავშვო ბაღის მთავარი სპეციალისტები, მეთოდისტები, აღმზრდელ-მასწავლებლები, მუსიკის მასწავლებლები, ფსიქოლოგები... ჩვენდა საამაყოდ უნდა ითქვას, რომ ამ ხნის მანძილზე მათ გამოავლინეს მაღალი მოქალაქეობრივი და პროფესიული პასუხისმგებლობა.

ასევე დისტანციურად აღინიშნა 1 ივნისი-ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. საბავშვო ბაღის თანამშრომლებმა ვიდეო-მიმართვებით, მუსიკალური ჩართვებით მიულოცეს ბავშვებს მათთვის ღირსშესანიშნავი დღე.

აღმზრდელ-მასწავლებლების შრომისმოყვარეობამ, კრეატიულობამ, შემოქმედებითობამ და ყოველდღიურ რეჟიმში განხორციელებულმა განმავითარებელმა აქტივობებმა ურთიერთობები მშობელსა და ბაღს შორის უფრო მეტად პოზიტიური გახადა. საბავშვო ბაღები იღებენ მშობლებისგან მადლობის ბარათებს.

სულ მალე საბავშვო ბაღების 379 აღსაზრდელი დაემშვიდობება ბაღს, ბავშვობის ზღაპრულ წლებს. აღმზრდელ-მასწავლებლები მათ დისტანციურად, შორიდან დაემშვიდობებიან და დაულოცავენ მომავლის გზას...

ამ პერიოდში არ შენელებულა აღმზრდელ-მასწავლებლების პროფესიული ზრდა და თვითგანვითარება. დისტანციურ რეჟიმში სპმთპ-ის ხობის რაიონული ორგანიზაციის ხელშეწყობით, სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელ-მასწავლებლებისთვის გაიმართა ტრენინგი თემაზე: „პირველადი სამედიცინო დახმარება“. ტრენინგში მონაწილე 26-ივე თანამშრომელმა მიიღო შესაბამისი სერტიფიკატი.

დაგეგმილი გვაქვს ონლაინ ტრენინგი საბავშვო ბაღის მთავარი სპეციალისტებისთვის თემაზე „საბავშვო ბაღის ადმინისტრირება“.

ბავშვებზე ზრუნვა როგორც რაიონის ხელმძღვანელობის, ასევე ჩვენი მთავარი პრიორიტეტი იყო ყოველთვის და არც პანდემიის პერიოდში შეგვიწყვეტია. ამ პერიოდში შეწყვეტილი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის გამო 25 საბავშვო ბაღის 1149 აღსაზრდელის ოჯახს სამ ეტაპად–მარტის, აპრილის, მაისის თვის მრავალფეროვანი სასურსათო კალათები უკვე გადაეცათ, რაც კვებისთვის გამოყოფილი თანხებით, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა. ამ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, გაერთიანებისა და ბაღების თანამშრომლები. პროდუქტების გაცემის დროს დაცული იყო კორონავირუსის პრევენციის მიზნით აუცილებელი მოთხოვნები. დაგეგმილია კვების პროდუქტების გაცემის მე-4 ეტაპი, რომელიც ივნისის თვეში განხორციელდება.

ამ პერიოდში არც საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურული პროექტები შეჩერებულა. დაიწყო პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაგა-ბაღის გადახურვითი სამუშაოები. შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში კი–60 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მოწყობა მიმდინარეობს, რომლის დასრულებას სექტემბერში გვპირდებიან და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილ გარემოში წარიმართება.

იმედს ვიტოვებთ, სექტემბერში ჩვეულ გარემოსა და რეჟიმში შვუდგებით მუშაობას და საბავშვო ბაღებს თვალხატულა გოგო-ბიჭების ჟრიამული გაახალისებს.

ეკა ხასია,
ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორი.

ძველ ხიბულაში ხიდის მშენებლობა დაიწყო

ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდინარე ჭანისწყალზე ახალი ხიდი შენდება

ინფრასტრუქტურულ პროექტს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს

ხიდის მშენებლობაზე 1 მილიონ 594 ათასი ლარი დაიხარჯება და მოსახლეობას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა ექნება

ხიდის მშენებლობის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია გაეცნო.

ხობში მცხოვრებ 250 ოჯახს პროდუქტები დაურიგდათ

ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებ მოქალაქეებს, ბიზნესმენ **გოდერძი ბუკიასთან** დაკავშირებული კომპანიების დაფინანსებით შეძენილი კვების პროდუქტები დაურიგდათ.

საკვები პროდუქტების პაკეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა: ფქვილი, შაქარი, ზეთი, შესქელებული რძე, კარაქი, ტკბილეული, პასკა, 250 ოჯახმა მიიღო.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია მადლობას უხდის გოდერძი ბუკიას მაღალი სოციალური პასუხისმგებლობისა და მოსახლეობისთვის გაწეული დახმარებისთვის.

ხობის №1 საჯარო სკოლის მოსწავლე FLEX-ის გამარჯვებულია



ქალაქ ხობის N1 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე დავით კორტავა, მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამის (FLEX) გამარჯვებულია.

მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა გამარჯვებულ მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, გაეცნონ ამერიკის კულტურას და ხალხს, ისწავლონ ამერიკულ სკოლაში და იცხოვრონ ამერიკელ, მასპინძელ ოჯახთან ერთად, ერთი აკადემიური წლის მანძილზე.

პროგრამას სრულად აფინანსებს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის საკითხთა ბიურო.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს ხობელ მოსწავლეს კონკურსში გამარჯვებას.

ინფორმაცია კოვიდ-19-ის შესახებ

„ვისწავლოთ თანაცხოვრება კოვიდ–19–თან ერთად“



ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ჯანდაცვის პირველად რგოლებთან ერთად ატარებს პრევენციულ ღონისძიებებს კოვიდ–19-ის გავრცელების რისკების შემცირების მიზნით, რთული ეპიდსიტუაციების მქონე ქვეყნებიდან საქართველოში შემომსვლელ პირთა დროებითი იზოლაციის პერიოდში სამედიცინო ზედამხედველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განხორციელებისთვის.

კოვიდ-19-ის ეპიდემიის დაწყების გამო 2020 წლის 10 მარტიდან უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულები და მათთან კონტაქტებით თვითიზოლაციაში გვყავდა 113 პირი, მათ შორის 51 არის ტრაილერის მძღოლი. 62-მა პირმა უკვე დაამთავრა თვითიზოლაციის 14 დღიანი პერიოდი და არიან ჯანმრთელები.

ამჟამად განსაკუთრებულ კონტროლზე გვყავს აყვანილი საერთაშორისო ტვირთზიდვებში მონაწილე ტრაილერის მძღოლები, რომლებიც დაავადების გავრცელების მხრივ მაღალი რისკის ჯგუფს წარმოადგენენ. საქართველოს საზღვრების გადმოკვეთისას მათ უტარდებათ სწრაფი ტესტირებით გამოკვლევები, დადებითი პასუხის შემთხვევაში ხდება მათი ჰოსპიტალიზაცია შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში. ყველა მძღოლზე ყოველდღიურად დაწესებული გვაქვს სამედიცინო მეთვალყურება, როგორც ადგილებზე შემოწმებით, ასევე დისტანციურად სატელეფონო ზარებით. ისინი თვითიზოლაციას გადიან საკუთარ სახლებში რეისებს შორის პერიოდში.

ჯანდაცვის ცენტრის ეპიდემოლიოგების მიერ კონტროლზე არის აყვანილი ტერიტორიულ სამედიცინო დაწესებულებებთან ერთად ცხელებით მიმდინარე თითოეული შემთხვევა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის №01-190/ო ბრძანებით სხვა ჯგუფებთან ერთად „პჯრ“ მეთოდით სავალდებულო ტესტირებას ექვემდებარება შემდეგი ჯგუფები:

–ნებისმიერი პაციენტი პნევმონიის დიაგნოზით;

–ნებისმიერი ცხელებით მიმდინარე შემთხვევა, თუ ამავდროულად აღენიშნება რესპირატორული დაავადების ნიშნები ან ექიმის გადაწყვეტილებით, მხოლოდ ცხელების მქონე პირები სხვა საეჭვო კლინიკური ნიშნებით;

–გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარების მედპერსონალი;

–საზოგადოებრვი ჯანდაცვის ცენტრის ეპიდემიოლოგები და ლაბორანტები;

ცხელების კლინიკებისა და სამკურნალო დაწესებულების პერსონალი;

საერთაშორისო ტვირთზიდვებში მომუშავე ტრაილერების მძღოლები.

ჯანდაცვის ცენტრის გადამზადებული ლაბორანტების მიერ 2020 წლის 4აპრილიდან დღემდე „პჯრ“ კვლევის მეთოდით კოვიდ–19-ზე 14 დღეში ერთხელ კვლევები უტარდებათ გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმაების მედპერსონალს, ჯანდაცვის ცენტრის ეპიდემიოლოგებს და ლაბორანტებს. კვლევის შედეგები ყველა შემთხვევაში იყო უარყოფითი.

ჯანდაცვის ცენტრისთვის ხობის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოგვიყო დამატებითი დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც შეძენილიქნა ეკიპირება და სადეზინფექციო, ხელის საწმენდი საშუალებები.

შეძენილი იყო ერთჯერადი ხალათები, ხელთათმანები, პირბადეები, დამცავი ფარები და სხვა. ასევე ეპიდემიის პერიოდში გაგვეზარდა ტრანსპორტის ხარჯი, სისტემურად მოწმდება ტრაილერების მძღოლები და სხვა პირების მიერ თვითიზოლაციის წესებისა და ნორმების დაცვის მდგომარეობა, სისტემურად ჯანდაცვის ტრანსპორტით იგზავნება ლაბორანტების მიერ აღებული ცხვირ-ხახის ნაცხები ზუგდიდის შესაბამის ლაბორატორიაში. აღნიშნულის გამო ხობის მერიამ ასევე დამატებით გამოგვიყო დაფინანსება ტრანსპორტის ხარჯის დასაფარად კოვიდ-19-ს პრევენციული ღონისძიებების უზრუნველყოფისთვის. ასევე მერიამ შეგვეძინა დისტანციური თერმომეტრები.

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ადმინისტრაციის და ხობისმუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელშეწყობით, ბიზნესმენების მიერ ჯანდაცვის ცენტრს საჩუქრად გადმოგვეცა დისტანციური თერმომეტრები, სათვალეები, დამცავი ფარები, სპეკომბინიზონები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რამაც ხელი შეგვიწყო ჩვენი პროფესიული მოვალეობის შესრულებაში კოვიდ-19-ის გავრცელების წინააღმდეგ.

სათანადო დაფინანსებისა და გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით სამეგრე-ზემო სვანეთის მხარის ადმინისტრაციას და ბიზნესმენებს, ხობის მუნიციპალიტის მერს და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.

როგორც ცნობილია, ეპიდემიის დროს გამოცხადებული ყველა შეზღუდვები უკვე მოხსნილია, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კოვიდ-19-ის დადასტურებული შემთხვევების გაზრდა, რაც უახლოეს 14 დღეში გამოვლინდება.

მიუხედავად შეზღუდვების მოხსნისა, თითოეულმა მოქალაქემ აუცილებლად უნდა დაიცვას რეკომენდაციები, რომლებიც გაცემულია დაავადებათა კონტროლის მიერ. წინა პერიოდში არსებული სლოგანი „დარჩი სახლში“ ამჟამად შეიცვალა სლოგანით „ვისწავლოთ თანაცხოვრება კოვიდ-19 თან ერთად“. მკაცრად უნდა დავიცვათ დისტანცია, გამოვიყენოთ პირბადეები, ხელის საწმენდი და სადიზინფექციო საშუალებები, არ შევეხოთ ხელებით პირს, თვალებს, ცხვირს, სახეს, ხშირად დავიბანოთ ხელები საპნით, მოვერიდოთ საზოგადოებრივი და ხალხმრავალი შეკრების ადგილებს, წვეულებებს, ქელეხებს. ვირუსი არსად არ წასულა. ის კვლავ ჩვენთან არის. დასახლებულ პუნქტებში, ქალაქებში შეინიშნება, რომ მოსალეობამ მოადუნა ყურადღება და არ იცავენ რეკომენდაციებს, რაც დაუშვებელია.

მიმდინარე პერიოდში ცხელების არცერთი შემთხვევა არ უნდა დარჩეს ყურადღების გარეშე. თითოეულ ასეთ შემთხვევაში მოქალაქემ უნდა მიმართოს ოჯახის ექიმს, ტერიტორიულ სამედიცინო დაწესებულებებს, 112-ს. დღეს მთავარია რისკ-ჯგუფების და საეჭვო-შესაძლო შემთხვევისას სწრაფი ტესტირების ჩატარება, დაავადების სწრაფი გამოვლენა, სწრაფი მკურნალობა და მოქალაქის დროულად დაბრუნება სოციუმში.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველა დაწესებულებას ვაძლევთ რეკომენდაციებს, რომელთა შესრულებაც აუცილებელია კორონავირუსის ეპიდემიის შეკავების ღონისძიებების ფარგლებში.

საჯარო სივრცეში ნიღბების ტარება (ეს ვალდებულება არ ვრცელდება ღია სივრცეში, ან როცა სამსახურში მარტი იმყოფებით).

ხელის დეზიფექცია და დაბანვა (დეზინფექცია ყოველ 30 წუთში ერთხელ ან სამუშაო პროცესის დასრულებისას.

სამუშაო ადგილების და დერეფნების სველი წესით დამუშავება.

სამსახურის შემოსასვლელში თერმოსკირინგი, მათ შორის თანამშრომლების დღეში ორჯერ (სამსახურში გამოცხადებისას სამუშაოდღის დასაწყისში და სამუშაო დღის დასრულებისას).

მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს უცხო პირების ვიზიტი სამსახურში, ხოლო ასეთი საჭიროებისას მათი მიღება უნდა განხორციელდეს ინფექციის კონტროლის მაქსიმალური დაცვით (ვიზიტორს უნდა ეკეთოს პირბადე, შემოსასვლელში დაიმუშაოს ხელები დეზინფექტანტებით, ჩაუტარდეს თერმოსკირინგი, კომუნიკაციისას დაცულიქნას 2 მეტრიანი დისტანცია).

თუ თანამშრომელს აღენიშნება ცხელება 37+ და რესპირაციული ნიშნები, ან ცხელება, მან უნდა მიმართოს ტერიტორიულ სამედიცინო დაწესებულებას, ოჯახის ექიმს, 112-ს.

აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მიზნით დაწესებულებებში გამოყოფილი უნდა იქნას პასუხისმგებელი პირები. კიდევ ერთხელ ვთხოვ მოსახლეობას. გამოიჩინონ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა და დაიცვან ზემოთხსენებული რეკომენდაციები.

ხობის მუნიციპალიტეტი რჩება მწვანე ზონად. არ გვაქვს არცერთი შემთხვევა და ეს სტატუსი ერთობლივი ძალისხმევით უნდა შევინარჩუნოთ.

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე-ექიმი პროფილაქტიკოსი.

ეროვნული წარმოება

„ხედავ ფიროსმანს და ვჯერდები ესოდენ“

შემოქმედება და ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მხატვრობა ის სფეროა, რომელიც ერთნაირად ღია და გასაგებია ყოველი ეროვნების წარმომადგენლისათვის და უშუალოდ ეხსნება დაინტერესებულ პირს. მას არ სჭირდება მთარგმნელი, თუმცა არის „რაღაც“, რაც სულიერ ჩაღრმავებებს, მახვილ თვალსა და პროფესიულ დაინტერესებას ითხოვს და ამასთანავე, დიდ სიყვარულს.

ქართული ხელოვნების ეს დარგი, როგორც ხელოვნებათმცოდნეები განმარტავენ, სულ მცირე 18 საუკუნეს ითვლის. ამ ხნის მანძილზე იგი ქართული, ევროპული თუ აღმოსავლური ქვეყნების ურთიერთობის ფონზე ვითარდებოდა.

აქვე ვიტყვი, რომ ქართული მხატვრობის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ნიმუში მე-3 საუკუნის პირველი მეოთხედის ძეგლი, მცხეთიდან 20 კილომეტრზე მდებარე ძალისის ნაქალაქარში აღმოჩენილი მოზაიკაა, რომელიც „დიონისეს სახლის“ აბანოს იატაკს ამკობდა. მას მერე მხატვრობამ დიდი გზა გაიარა–კედლის მხატვრობიდან, ფრესკული მხატვრობის, მონუმენტური თუ დაზგური ხელოვნების განვითარების გზებამდე, ვიდრე არ გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც ერთი საუკუნის უკან, იმ ეპოქისთვის სრულიად მოულოდნელად „ევროპულ ხელოვნებაში განვითარებული ავანგარდული ხელოვნების მისწრაფებები“ გამოავლინა. სწორედ ამ ფაქტმა განსაზღვრა, რომ მისი მხატვრობა „აღმოჩენის ტოლფასი“გახდა.

„...მაღალი ტანისა, შეჭაღარავებული და უკან გადავარცხნილი თმებით. მის მკრთალსა და მოტეხილ სახეს თან სდევდა იერი რაღაც კულტურული სირბილისა და სიწყნარისა, წვერი ჰქონდა მოკრეჭილი და ულვაშები დაშვებული. ეცვა ნაცრისფერი პიჯაკი, სქელი, ჭუჭყიანი და საღებავებით მოთხვრილი შარვალი, ერთი სიტყვით, ჩვენს თვალწინ იდგა უღარიბესი უბნის მცხოვრები, გატეხილი და დაბეჩავებული „ბოსიაკური“ და ლოთური ცხოვრებით“... ადამიანი, რომელსაც ნიკალას ეძახდნენ“.-ასე აღწერდა მას დიდი მხატვარი ლადო გუდიაშვილი. ასე გამოიყურებოდა ცხოვრებას მარტო შეჭიდებული ადამიანი, ვისთვისაც ხატვა, სურათების შექმნა სულიერი მოთხოვნილება იყო და ვით დაჭრილი ირემი წყაროს, ისე ესწაფვოდა საღებავებსა და ფუნჯებს, რომ ახალი და ახალი ნახატებით გამოეთქვა თავისი სათქმელი–მართალი და სევდიანი.

დიახ, ეს იყო ნიკო ფიროსმანაშვილი, თვითნასწავლი მხატვარი, რომელიც ქმნიდა პორტრეტებს, აბრებს, ულამაზეს სურათებს, რომელთა უმეტესობას თითქმის საჩუქრად აძლევდა მედუქნეებს, რომლებიც უკვეთავდნენ მას ნახატებს.

ნიკო ფიროსმანის, როგორც მხატვრის შესახებ ინფორმაცია ძმებმა კირილ და ილია ზდანევიჩებმა მოიძიეს და მისი შემოქმედების პოპულარიზაციას შეუწყვეს ხელი, ხოლო მოგვიანებით, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა შემოქმედმა -დიმიტრი შევარდნაძემ, ლადო გუდიაშვილმა, დავით კაკაბაძემ, უფრო მოგვიანებით კი გოგლა ლეონიძემ შეკრიბა მნიშვნელოვანი ცნობები ნიკალას თანამედროვეთა მონაყოლიდან და ასე აიკინძა მისი ბიოგრაფია.

1862 წელს კახეთში, სოფელ მირზაანში დაბადებული ნიკალა და მისი ოჯახი მალე შულავერში გადასახლებულა. 7 წლისა კი თბილისში გადასულა საცხოვრებლად მის უფროს და–მარიამთან, ხოლო უმცროსი და ფეფე, შინ დარჩენილა. 8 წლისა დაობლებულა და ცოტა ხანში მისი უფროსი და მარიამიც ქოლერას უმსხვერპლია. სიძეს ნიკო სამხედრო პირის–ქალანთაროვების ოჯახში მიუბარებია მოსამსახურედ, რომ პურის ჭამა შეძლებოდა. ქალანთაროვებს კარგად მიუღიათ პატარა ბიჭი, წერა-კითხვაც უსწავლებიათ და ხატვაც. პატარაობიდანვე კედლებს ხატავდა თურმე. ძალიან ამაყი ნიკალა, პატარაობიდანვე კოხტად ჩაცმული დადიოდაო.

უბედურების სათავე დაიწყო მაშინ, როცა ნიკოს ქალანთაროვების, მასზე 10 წლით უფროსი ქვრივი ქალბატონისთვის ცოლობა უთხოვია. ქალს არ მიუღია მისი წინადადება და ნიკოს ცხოვრებაში დაწყებულა უფრო მეტი სიძნელეები. მას შემდეგ, რაც ქალანთაროვების შეთავაზებული სამუშაოები უარყო, გულგატეხილი ნიკო ლუკმა პურისა და საღებავებისთვის იბრძოდა.

ამიერკავკასის რკინიგზაზე კონდუქტორიც ყოფილა, მედუქნეებთანაც დამდგარა, ვაჭრობისთვისაც მიუყვია ხელი, მაგრამ არ გამოსვლია... მას დამოუკიდებელი ცხოვრება გადაუწყვეტია.

80-იან წლებში მის მეგობარ, თვითნასწავლ გიგო ზაზიაშვილთან ერთად ფერწერის სახელოსნო გაუხსნია, მაგრამ ამ საქმით თავი ვერ ურჩენიათ და სახელოსნოც დაუხურავთ. მართალია თავისუფალ დროს სულ ხატავდა და ხატავდა, მაგრამ დრო მის საკეთილდღეოდ არ მუშაობდა.

ნიკალას ნამუშევრები დუქნებში „ვერ ეტეოდა“, იმდენად ასხივებდა ნიჭს, რაც შეამჩნიეს ძმებმა ზდანევიჩებმა და მიშელ ლე-დანტიუმ, რომელიც წერდა, რომ ნიკალა ძალზე გაჭირვებულია, გროშებად ხატავს, მაგრამ ნამდვილი გენიოსიაო... ამ წერილის დაწერიდან ერთ წელიწადში 1913 წელს მოსკოვში მოეწყო გამოფენა, რომელზეც პირველად გაიტანეს ნიკო ფიროსმანის 4 ნამუშევარი: „ი.ზდანევიჩის პორტრეტი“, „ნატურმორტი“, „ქალი კათხა ლუდით“ და „ირემი“.



მხატვართა წრეში ნიკალაზე ბევრს საუბრობდნენ და წერდნენ, მაგრამ არ იცოდნენ როგორი ტკივილით სავსე ცხოვრებით ცხოვრობდა და იყო თუ არა საერთოდ ცოცხალი... როცა მხატვართა საერთო კრებაზე მოწვევა გადაწყვიტეს დიმიტრი შევარდნაძემ და მისმა მეგობრებმა, ძლივ-ძლივობით მიაკვლიეს მის საცხოვრისს. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია კრებაზე მიწვევას. ნიკალას მხატვრებმა სულ რამოდენიმეჯერ გაუმართეს ხელი ფულადი დახმარებითაც, მაგრამ ეს მისთვის საკმარისი არ იყო.

მაინც ვინ იყო ნიკალა და რას ხატავდა ის?

ფიროსმანი ჩვეულებრივ მუშამბაზე ხატავდა. ნახატებში იგრძნობოდა სოციალური გარემოს ზემოქმედება. როგორც ზემოთ აღვნიშნე, იგი თვითნასწავლი მხატვარი იყო და მოწყვეტილი იყო ყოველგვარ აკადემიზმს, (როგორც ფორმით, ასევე შინაარსით) ამიტომაც ხასიათდებოდა მკვეთრი ინდივიდუალიზმით. მისი ქმნილებების სტილისტური გადაწყვეტა ენათესავებოდა ფრესკული გამომსახველობის ხერხებს, თუმცა ეს „ტექნიკური ხერხები საერო ხასიათის მხატვრობაში გადმოჰქონდა და „ამას აკეთებდა შინაგანი ალღოთი“.

ნიკალა ხატავდა სიუჟეტებს ეროვნულობის ნიშნებით, ტრადიციულობის ხაზგასმით, მაგრამ ამას ხატავდა შუა საუკუნოვან მხატვრულ ტრადიციასთან თანამედროვე მხატვრობის მეთოდების შერწყმით და უპირისპირდებოდა აკადემიზმს.

ფიროსმანის მოდერნისტული ნახატები გვაჩვენებენ რომ ნიკო ქმნიდა განსხვავებულად... წარმოსახვით. მაგალითად მისი „ნატურმორტი“, როგორც ხელოვნებათმცოდნეები აღნიშნავენ, შექმნილია წარმოსახვით და არა რაიმე სხვა კანონების დაცვით, მხოლოდ მხატვრის ნება-სურვილის შესაბამისად ერთმანეთზეა „აკოწიწებული“. ეს დამოკიდებულება ამ სტილით ხატვისადმი არ იყო თვითნასწავლობით განპირობებული, ამ სტილით ის თანამედროვე მხატვრობის გაგებას ეხმაურებოდა და თავის სტილს ქმნიდა.

ფიროსმანაშვილის მიერ გადმოცემული ადამიანები, ცხოველები, გასულიერებულები არიან, უბრალოებით გამორჩეულები და მართალნი, მკაფიოდ გამოკვეთილი ხასიათით. მის შემოქმედებაში ვხვდებით ქეიფის თემებს, ღამის სცენებს („დათვი მთვარიან ღამით“, „არსენალის გორა ღამით“, „ყაჩაღმა ცხენი მოიპარა“...) მედუქნეების, კინტოების, ბოჰემის წარმომადგენელთა, მუშათა სახეებს. („მეეზოვე“, „მდიდარი კინტოს შვილი“, „ორი მუშა“, „მარგარიტა“, „ორთაჭალის ტურფები“, „მებადური“)...

გადმოცემული აქვს სოციალური დაპირისპირება ნახატში „უშვილო მილიონერი და ღარიბი ქალი შვილებით“...

ფიროსმანის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ანიმალისტურ ჟანრს. ცხოველთა სახეებში ფიქრობენ, რომ მას სიმბოლურ-მორალური აზრი აქვს ჩაქსოვილი. აღსანიშნავია ამ მხრივ, „ჟირაფი“, „შავი ტახი“, „თეთრი დათვი“, „ირემი“, „ არწივს კურდღელი დაუჭერია“ და ა.შ.

ის ეხება ისტორიულ სახეებსაც: „თამარ მეფე“, „ერეკლე მე-2“, „გიორგი საakაძე“...

მისი ქმნილებების უმრავლესობა მითიურ თუ ზღაპრულ გმირებს ჰგვანან, რომლებსაც ძალიან დიდი გამომსახველობითი ძალა ახლავს თან.

ფიროსმანის ქმნილებათა მკვლევარები გამოარჩევენ მის ნამუშევრებში განსაკუთრებულად „ჟირაფს“. რაც უფრო დიდხანს უყურებ „ჟირაფის“ მეტყველ თვალებს, ის აუცილებლად დაჰბადებს მნახველში მეტაფიზიკურ განსაზღვრას და წაიყვანს მისტიური ლაბირინთისკენ, სადაც ფიროსმანისეული სიმარტოვე და სევდა დახვდებათ. ამ სურათის იდუმალებას ხელს უწყობს ნახატის ფონიც, ფერთა გადასვლა...

ნიკალა ხატავდა მონდომებით, ის იმედით შეჰყურებდა მომავალს და ფიქრობდა, რომ მხატვართა წრე მას გამოიყვანდა იმ საშინელი მდგომარეობიდან, რომელშიც უწევდა ყოფნა. სწორედ ასეთ დროს 1916 წელს „სახალხო ფურცელში“ გამოქვეყნდა ფიროსმანის კარიკატურა, რომელშიც ფეხშიშველი და თმაგაწეწილი ნიკალა ხატავს ჟირაფს. იქვე დგას გრიგოლ რობაქიძე, რომელიც ეუბნება: „უნდა ისწავლო ძმობილო!.. ორფეოს..ერთი ათი-ოცი წლის შემდეგ კარგი მხატვარი გამოხვალ. აი, მაშინ გაგგზავნით ახალგაზრდათა გამოფენაზე“...

ამ კარიკატურამ ნიკალას გული მოუკლა და მიხვდა, რომ მისთვის მხატვართა კარები სამუდამოდ დაიხურა, ის არ მიიღეს. მისი თავმოყვარეობა და ღირსება შეილახა, სიყვარული მეორედ იქნა უარყოფილი, ამჯერად მხატვრების მხრიდან და მიხვდა, რომ ვერასოდეს ააშენებდა მათთან ერთად ხის დიდ სახლს და ვერ ისაუბრებდა მხატვრობაზე.

მიუხედავად ამისა, ევროპაში ნიკალას სახელი უკვე იცოდნენ ძმები ზდანევიჩების მეშვეობით და მისი პოპულარობა ხელშესახები იყო.

დიდი პიკასო აღფრთოვანებული აღიარებდა, რომ -„ეს მხატვარი მე-20 საუკუნის გენიააო“... ეს გენია 1918 წელს აბაშიძის სირაჯხანის ნესტიან და მყუდრო სარდაფში ებრძოდა სიკვდილს და მხოლოდ შემთხვევით ჩავლილმა რაჭველმა მეჩექმემ–არჩილ მაისურაძემ აღმოაჩინა მომაკვდავი. იგი არამიანცის საავადმყოფოში გადაუყვანიათ და

9

8

დღე-ნახევარში აღსრულებულა.

დღეს ჩვენმა საზოგადოებამ კარგად იცის, თუ რას ნიშნავს ეპიდემია, მასთან ბრძოლა და რამდენად დიდია სახელმწიფოს როლი ამ ბრძოლაში დაავადებათა წინააღმდეგ, რამდენად სჭირდება დაუცველ და მიუსაფარ ადამიანებს გვერდში დგომა და დახმარება, რამდენი პროგრამებია ამუშავებული თითოეული ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად.

მე-20 საუკუნის დასაწყისში კი მსგავსი საშიშროების წინაშე, ჩვენს ქვეყანაში, დიდი გენიოსი მხატვარი ვირუსის-„ისპანკას“ მსხვერპლი გამხდარა.

დიდი მხატვრის შემოქმედების მკვლევარი- ლელა ჯიყაშვილი აღნიშნავს, რომ „როცა ბოღმა ერეოდა, ნიკო თავისთვის ღიღინებდა:

„შენ ჩემო ძმაო ნიკალა,
რად გინდა წუთისოფელი,
სახლად მოგცემ სამოთხესა,
იქ მოგივა ყველაფერი,
სახლიკაცად მეყოლება
მიქელა და გაბრიელი!“

საკრალური აღმოჩნდა ეს სიტყვები ნიკალასთვის.წუთისოფელმა უმუხთლა.

არსებობს 2 ვერსია მისი საფლავის შესახებ. ზოგი ამბობს კუკიაზე განისვენებსო, ზოგის აზრით კი იგი პეტრე-პავლეს სასაფლაოზე ასვენია „უცნობი ნიკოლოზის“ სახელით. „...თითქოს მისი დახატული „უსახელოდ“ დარჩენილიყო, როგორც ყოველი ნაშთი დიდის პრიმიტივისა.“

ნიკალას გარდაცვალების შემდეგ მისი ნამუშევრები ევროპის სხვადასხვა ქვეყნის საგამოფენო დარბაზში გამოიფინა და მილიონობით ადამიანს ესთეტიურ სიამოვნებას ჰგვრის თავისი პრიმიტივიზმითა და ბუნებრიობით, რადგანაც ხედავენ მართლაც „რომელიღაც უმაღლეს სიმართლეს“.

დღეს ფიროსმანის სახელი უკვდავებასაა მიცემული. მის სახელზე სახელმწიფომ გამოსცა ერთლარიანი კუპიურა, გადაღებულია ფილმები, იმღერება სიმღერები, დგას ძეგლი, მისი სახელი ჰქვია დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას თათრის მოედანთან ახლოს... იქ, სადაც ოდესღაც უვლია ცხოვრებისგან გაუხარელ, მაგრამ სულით უტეხ ნიკალას.

სიცოცხლეში დაუცველი ფიროსმანის ნამუშევრები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებად აღიარეს და მას სახელმწიფო განსაკუთრებულად იცავს.

უკვე არავის გაუკვირდება გრიგოლ რობაქიძის ცნობილი სიტყვები: „ხედავ ფიროსმანს და გჯერა საქართველო!“

ნანა ბუკია,
მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განყოფილების უფროსი.

ერთგულებით, ერთმანეთის მხარდამხარ

მსოფლიო დიდი მოულოდნელობის წინაშე აღმოჩნდა. ყველა კონტინენტზე დაიბუდა ისეთმა უხილავმა მტერმა, როგორიც „კოვიდ-19“-ია. ამ დაავადების წინაშე ისეთი დიდი ქვეყნებიც უძლურნი აღმოჩნდნენ, როგორცაა თუნდაც ა.შ.შ, ჩინეთი, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, იტალია. მთელი მსოფლიო პანდემიამ დაიპყრო...

ამ უდიდეს ქვეყნებს შორის მწვანე შუქად ჩანს საქართველო, რომელიც თავიდანვე მთელი გულისხმიერებით ჩაება არსებული დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში. პრემიერ მინისტრის უშუალო ხელმძღვანელობით ჯანმრთელობის სამინისტროსთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და სრულიად საქართველოს მოსახლეობასთან ერთად. თითქმის ყველამ გაითავისა ამ დაავადების სიმძიმე და შეიცვალა ბევრი რამ. პანდემიამ დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა მთელი სამყარო...

ამ დაავადებამ შეცვალა ჩვენი ყოველდღიურობა, ადამიანები ხელთათმანების, ნიღბებისა და უდიდესი შიშის ქვეშ აღმოვჩნდით... საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა და აკეთებს ხალხის საკეთილდღეოდ... ხალხის დასახმარებლად გარდა ფინანსებისა ადამიანები იღებდნენ სისხლს და აბარებდნენ, სურსათ-სანოვაგეს უგზავნიდნენ სოციალურად დაუცველებს, ნაკლებად უზრუნველყოფილ და მრავალშვილიან ოჯახებს. ყველა ცდილობდა ერთმანეთის დახმარებას. მთელი საქართველო გააერთიანა პანდენიამ, რაც ყველაზე სასიამოვნო ფაქტია.

ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, სოფლების მესვეურნი, ბიზნესმენები, მეწარმეები ამ მისიაში მთელი ენთუზიაზმით ჩაებნენ.

აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც დახმარების ხელი გამოუწოდეს თანამოქალაქეებს, თანასოფლელებს, იმათ, ვისაც ეს ძალიან სჭირდებოდა.

ერთერთი ამათთაგანია **ელგუჯა ნანავა**. ის აფხაზეთიდანაა, ათეული წელია რუსეთში ცხოვრობს. ის ზრუნვას და ყურადღებას არასოდეს აკლებდა სოფელ პატარა ფოთში მცხოვრებ მის მშობლებს, ახლობლებს, ამ გაჭირვების ჟამს მან თავისი სოფლის მცხოვრებ 25 ოჯახს საკვები პროდუქტები–პურის ფქვილი (50 კგ.), შაქარი 5 კგ, 5 ლიტრი ზეთი, ბურღლეული და ტკბილეული გამოუგზავნა.

ღვთის მადლი არ მოგკლებოდეთ ბატონო ელგუჯა!

პირველმაისელმა ინდმეწარმე და ფერმერმა **მალხაზ გაბისონიამ** მეუღლე **მანანა კვარაცხელიასთან** ერთად თავიანთი სოფლის უმწეოთა ოჯახებსა და პენსიონერებს (7 ოჯახს) დახმარების ხელი გამოუწოდა. 1 ტომარა პურის ფქვილი, ზეთი, შაქარი, საფუარი და ბრინჯი უსახსოვრა, ეს საჩუქარი ძალიან საჭირო და სასურველი გახლდათ მათთვის.

ხობის მუნიციპალიტეტის საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ 20 ოჯახს 80-80 ლარის ღირებულების პროდუქტები გაუგზავნა ადგილობრივმა მეწარმე **ტარიელ გულორდავამ**. მან ასევე დახმარება გაუწია სოფლის საბავშვო ბაღსა და საჯარო სკოლას (100-100 ლარის ოდენობით).

პანდემიის დღეებში 15 ოჯახს საკვები პროდუქტები გადასცა შ.პ.ს. „WCW“-მ შუა ხორგისა და ქარიატის მცხოვრებლებს კომპანიის მენეჯერმა **ლევან ხასიამ** ამ სასიკეთო საქმით მან ადრესატებს ხარების დღესასწაული მიულოცა.

მადლიერი საქმეების კეთება ბატონ **თამაზ ბასილაიასთვის** უცხო როდია, ბიზნესმენმა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა თაობის მრავალშვილიან დედებს, 60 და მეტი ასაკის მარტოხელებს, დედმამით-ობლებსა და დიალეზზე მყოფ ავადმყოფებს, სამამულო ომის ვეტარანებს, აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებს, 100 და მეტი ასაკის მქონე ადამიანებს, (სულ 200 ოჯახს) პროდუქტები გაუგზავნა.

ბიელმა მეწარმემ **ფრიდონ შონიამ** ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ 32 ოჯახს 50-50 ლარის ღირებულების საკვები პროდუქტები შეუძინა.

5 მარტიდან, პანდემიის დღეებში ხობში გააქტიურდნენ ახალგაზრდები და ნინო სიჭინავას (ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი) უშუალო ინიციატივით სოციალურ ქსელში შეიქმნა „მოხალისეთა ჯუფი“, სადაც გაერთიანდნენ **გიორგი და კოტე გოგენიები, გიგა კიტია, ნათია სალაყაია, ლევან ქავთარაძე, ნანა ჭითანავა, დიანა წულაია, ნუკრი ნარმანია, მერაბ ხარბედია, თამთა ღვინჯილია,** მათი მიზანი იყო დახმარებოდნენ შეჭირვებულ ოჯახებს. ისინი თვეების მანძილზე ბევრი სასიკეთო საქმის მოთავეები და მონაწილენი გახდნენ. მათ უერთდებოდნენ სხვადასხვა ადამიანები და თავინთ წვლილს დებდნენ საერთო საქმეში მათ მიერ მუნიციპალიტეტში დახმარება გაეწია 1015 ოჯახს. დახმარება გულისხმობდა საკვებ პროდუქტებს, ჰიგიენურ საშუალებებს, მედიკამენტებს, ასევე დაეხმარნენ მრავალ ოჯახს კომუნალური გადასახადების დაფარვაში.

მოხალისეთა საქმიანობას მხარი აუბეს ხობელმა ბიზნესმენებმა, მეწარმეებმა, კომპანიებმა... **სერგო ბერაიამ, ირაკლი ზაქარაიამ, ბადრი ჯობავამ. შ.პ.ს. „პულსმა“** თავიანთი მხარდაჭერა სხვადასხვა სახით გამოხატეს. სკოლამდელი გაერთიანების ხელმძღვანელებმა და რიგითმა მოქალაქეებმა.

„მოხალისეთა ჯგუფს“ მხარდაჭერა გამოუცხადა **სანათა სიჭინავამ,** მან 300 ცალი პირბადისთვის საჭირო ქსოვილი გადასცა მოხალისეთა ჯგუფს.

მარიტა ტურავამ კი საკუთარი ხელით შეკერილი პირბადეები და 200 კგ. სიმინდის ფქვილი, 100 კგ ღერღილი გადასცა აღნიშნულ ჯგუფს „ეს მეტად მნიშვნელოვანი კამპანიაა, მზად ვარ მომავალშიც გავუწიო დახმარება მოქალაქეებს“–აღნიშნა მან.

პანდემიის დღეებში არაერთი კომპანია, პედაგოგი, რიგითი ხობელი, ბიზნესმენი, ინდმეწარმე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების მხარდამხარ ჩაებნენ და დახმარების ხელი გაუწოდეს ნაკლებად უზრუნველყოფილ ოჯახებს. ინიციატორთა ჯგუფმა მრავალთა მხარდაჭერა მოიპოვა. იმედია, საჭიროების შემთხვევაში ასეთი მხარდაჭერა ისევ და ისევ გაგრძელდება...

მხარდამჭერთა მონაწილეებს, ბიზნესმენებსა თუ მეწარმეებს, ყველას, ვინც პანდემიის დროს მხარში დაუდგა ადამიანებს, დიდი მადლობა გადაუხადეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა.

კოვიდ ინფექცია დღესაც ცირკულირებს საქართველოში. მედიკოსები მეორე ტალღის მოლოდინში არიან. ამიტომაც მთავარია, გავფრთხილდეთ! როგორც მედიკოსები გვეუბნებიან, უნდა შევეჩვიოთ ამ დაავადებასთან ერთად ცხოვრებას, შევასრულოთ ყველა ის მითითება, რითაც მთელი თვეებია გვმოძღვრავენ, რომ გადავრჩეთ.

ნანი კილასონია.

ᲘᲣᲑᲘᲚᲘ

ᲓᲠᲝ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲤᲚᲐᲜᲒᲐᲕᲡ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲝᲣᲡᲬᲠᲘᲐ...

დრო ნელ-ნელა მიწამწამობს და შეუმჩნევლად აგროვებს საათებს, დღეებს, წლებს ისე, რომ უკან მოხედვას ვერ ასწრებ...

ეს ასეა, მაგრამ ბედნიერებაა, როცა წლები უბრალოდ არ გაგიფლანგავთ, ბევრი მოგისწრიათ...

ბატონი იური ჭანტურია სპორტის ბერმუხად წოდებული, სპორტულ გაზეთ „ლელოს“ ყოფილი კორესპონდენტი, საკავშირო და რესპუბლიკური მატჩების მსაჯი, ეროვნული ჩემპიონატის კომისარ-დამკვირვებელი, ხობის საფეხბურთო კლუბის ვიცე-პრეზიდენტი, ამავე კლუბის დირექტორი, ადმინისტრატორი...

მისი ბიოგრაფია სავსეა მრავალი საინტერესო ეპიზოდებით. სამ ათეულ წელზე მეტი ემსახურა ხობის ფეხბურთს და არაერთი წარმატება ჰქონია (მასთან სახლში სტუმრობისას ვნახე სიგელების, ჯილდოების, პრიზების მთელი კოლექცია. მიღებული აქვს უეფას მიერ გაცემული სერთიფიკატი ფეხბურთის მენეჯერის წოდებით).

სწორედ წლების მანძილზე მის მიერ გაწეულმა შრომამ დაუმკვიდრა კარგი კაცის სახელი, მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ხობის „კოლხეთი“ წარმატებული ყოფილიყო.

სასიქადულო მწერალი ოტია იოსელიანი თავის გამოსვლებში არაერთხელ აღნიშნავდა: „გაზეთი, მათ შორის ადგილობრივი გამოცემაც, ქვეყნისა და მისი კუთხეების ნაღდი მემატიანეა“, დასტურ რომ ასეა, ჩვენი მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხობის მოამბე“ ბევრი მნიშვნელოვან ისტორიას ინახავს. გთავაზობთ ამონარიდებს გაზეთ „ლელოს“ და „ხობის მოამბის“ არქივიდან ხობის „კოლხეთის“ ყოფილი ვიცე პრეზიდენტის იური ჭანტურიას ინტერვიუებიდან.

* * *

„ხობი საფეხბურთო რუკიდან არ წაიშლება...“

ერთი შეხედვით, რეგიონალური განვითარების დასავლეთის ზონიდან უმაღლეს ლიგამდე დიდი მანძილია– სად ქვეყნის უძლიერესი გუნდები და სად ჩვენ, მაგრამ ესეც ხდება ხოლმე, ჟინითა და დაძაბულობით. ჩვენი ლიგის მატჩები უმაღლესისას არ ჩამოუვარდება, თანაც გუნდების უმეტესობაში 16-17 წლის ბიჭები თამაშობენ და რომ განახათ, როგორ იბრძვიან, რამხელა პოტენციალია მათში, ნამდვილად გაგიკვირდებათ. მაგალითად ჩვენი გუნდი 1981-1987 წლებში დაბადებული ბიჭებითაა დაკომპლექტებული და თუ სათანადო ხელშეწყობა იქნა, მჯერა, ამ ბავშვებიდან რამდენიმე მაღალ დონეზე ითამაშებს ფეხბურთს.

ხობის „კოლხეთი“ ყოველთვის სათვალავში იყო და მისი მესვეურები ყველა ღონეს ვხმარობდით რომ ხობი საფეხბურთო რუკიდან არ წაშლილიყო. კლუბის პრეზიდენტი მერაბ სალაყაია, უფროსი მწვრთნელი ლევან ნოდია და თანაშემწე „კოლხეთის“ ყოფილი ფეხბურთელი კალისტრატე ხურცილავა და მეც ძალისხმევას არ ვაკლებდით, რათა გუნდმა პროგრესი განიცადოს და ის გზა, რომელმაც ხობის „კოლხეთი“ უმაღლესი ლიგიდან ლეგიონალურ გათამაშებამდე ჩამოაქვეითა უკანვე გავიაროთ...“

ასეთია ბატონი იურის სასპორტო ცხოვრება, მან თავისი შეგნებული წლები სპორტს მიუძღვნა. წუთი, წამი არ უცხოვრია ფეხბურთის გარეშე. საუბრისას ხშირად იხსენებს იმ წლებს, როდესაც ჩვენს გუნდს პიკი ჰქონდა, 1988 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა, 1989 წელს საკავშირო ჩემპიონატის პირველობაზე მიიღო მონაწილეობა, სადაც უმაღლესი კლასის თამაში აჩვენა მაყურებელს

და ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი გუნდი გახდა იმ ლიგაში, სადაც ის თამაშობდა. მთელი ემოციით ყვება გაგრაში ყოფნის პერიოდს, სადაც ეროვნული ნაკრების გუნდს მსაჯობდა და ლეგენდარული ფეხბურთელის პელეს წინაშე ნათამაშევ გიორგი სიჭინავასთან გატარებულ დღეებს სიამაყით იხსენებს. წლებს, რომელიც უბრალოდ არ გაუფლანგავს, ბევრი რამ მოუსწრია.

დიდი ფეხბურთის კორიფეებთან ურთიერთობა (რამაზ შენგელია, მურთაზ ხურცილავა, ზაურ სვანაძე, სერგო კოტრიკაძე, ბორის სიჭინავა, ვლადიმერ ბარქაია), და თავს ბედნიერად გრძნობს, ასევე არ შეიძლება ხობის სპორტულ მატიანეს გადაავლო თვალი და არ გავიხსენო ქართული სპორტის ქომაგები, ღვაწლმოსილი მუშაკები, ადამიანები, რომლებიც „მრგვალი ბურთის“ გარშემოლამაზ ფეხბურთს ქმნიდნენ. აწგანსვენებულები ალიოშა (ხიტა) ჭოჭუა, პაატა თათარიშვილი, ზური ბუბუტეიშვილი, ანზორ სანიკიძე, ენუქი თევზაძე (ნათელი დაადგეს მათ ხსოვნას) ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებულ ადგილს იკავებდნენ და თავიანთ ნიშას ტოვებდნენ ხობის ფეხბურთის განვითარებაში.

მინდა განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა: ჩვენი მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს, ბატონებს დემურ თუთბერიძეს, გოდერძი ბუკიას, თამაზ ბასილაიას, მწვრთნელ ფრიდონ გოცირიძეს და ყველა იმ ადამიანს, ვინც მხარი დაგვიჭირა, როგორც სულიერად ასევე ფინანსურად იმ დიდი წვლილისთვის, რაც მათ გაიღეს ყველაზე კრიზისული მდგომარეობის დროს.

არც თუ ისე განთქმული ფეხბურთელი და მსაჯი ვყოფილვარ, მაგრამ ფეხბურთის გარეშე ჩალის ფასი ექნებოდა ჩემს ცხოვრებას. კიდევ

ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ხობის ფეხბურთს დიდი მომავალი აქვს.

დღეს ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბს ბატონი ბორის ბერაია უდგას სათავეში (მწვრთნელი პაატა ბუკია). მჯერა, გუნდი დაიბრუნებს ძველ დიდებას და ერთ-ერთი იქნება რესპუბლიკაში.

ოჯახიც სანიმუშო ჰყავს ბატონ იურის, მეუღლე ქეთევან თუნთია პროფესიით პედაგოგია. კარგი მასპინძლის ეტალონად ცნობილი. არაჩვეულებრივი დედა და ბებია, ის წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საჯიჯაოს საბავშვო ბაღს და უშურველად ზრდიდა მომავალთაობას. დიდი ოჯახის დიდი დიასახლისი დახუნძლულია შვილებითა და შვილიშვილებით. მათთან ყოფნისას მოვიხიბლე სტუმარ-მასპინძლობით. პეწიან, მოწესრიგებულ გარემოში არაჩვეულებრივი სანახავია მათი ეზო, „კურორტზე“ გადაჭიმულია მამული–ხეხილით, ვაზით, ყვავილნარით.

სავსეა ეზო შვილიშვილებით. ზოგი „ფიზიკოსობს“, ზოგი ცეკვავს, ზოგი მღერის, ერთ-ერთი მათგანი ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელია, საოცარია 3 წლის ანდრია დიდიას ვუნდერკინდობა, უკვე 30 ქვეყნის დროშა და მისი ფერები ზეპირად იცის. გამაოცა ამ ბავშვების სითბომ და სიყვარულმა. დღეს განვლილი წლების გადასახედიდან ჩემეული სიტყვა მინდა ვთქვა, კარგ ადამიანზე, სოფლის კოლორიტზე, რომ უყვარს ხობს, ხობელებს, მეგობრებს, მეზობლებს როგორც ჯანსაღი ბუნების ადამიანი, მეოჯახე, მეუღლე, მამა და ბაბუა. სადაც ხშირად იკრიბებიან „კერძ–მოჯგირენი“ და მეგრული პურ-მარილით უმასპინძლდება ყველას, მისი ჩვეული ტრადიციაა „თითო სტაქანი“ ღვინო თავისი დაწურული „ვაზის ცრემლებით“. (მიყვარს მათი მასპინძლობა).

70-ე ზაფხულს ითვლის ბატონი იური, როდესაც შეხვედრა ვთხოვე, ვიგრძენი, კი არ მოდიოდა, მორბოდა სიხარულისგან, როგორც პატარა ბავშვი...

თქვენ, ბატონო იური, ბევრი ადამიანური ჯილდო გაქვთ, ეს ხალხის სიყვარულია. იცოცხლეთ, იხარეთ, მიიღეთ ჩემი გულწრფელი მოლოცვა.

ᲜᲐᲘᲠᲐ ᲑᲔᲠᲐᲘᲐ.

ს უ ლ თ ა თ ა ნ ა

თალიკო კვარაცხელია

ყველა ადამიანს უფალი უმზადებს განსაცდელს მისი ძლიერების და ჭირთათემენის გამოსაცდელად, ტკივილთან შესაგუებლად, მაგრამ არის „რაღაც“, რასაც უფალიც ვერ შლის ადამიანის გონებიდან, გულიდან. ამიტომაც სიცოცხლეს ახლავს მოუშუშებელი ტკივილი, რომელიც გვახსენებს: გვიყვარდეს და გავუფრთხილდეთ ერთმანეთს...

ერთი წელიწადი გავიდა, რაც მარადისობაში გადაინაცვლა თალიკო კვარაცხელიამ, დიდებულმა პიროვნებამ, ღირსეულმა პედაგოგმა... ქვალონის საჯარო სკოლის და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის წარმატებით კურსდამთავრებულმა... და მარტოდმარტომ ცხოვრების სახელოვანი გზა განვლო, რათა ნათლით გასხივოსნებული ყოფილიყო მისი იმქვეყნიური ცხოვრებაც.

თალიკოს ნიჭისა და გონების პატრონს სხვისი დახმარებით ცხოვრება არ შეეძლო, ამისთვის მეტისმეტად ამაყი იყო. მახსენდება, როცა მასწავლებლის შრომის ანაზღაურება თითქმის გროშად იყო შეფასებული, სხვისი სიმდიდრისკენ თვალი არასოდეს გაქცევია, მიზნისთვის მხოლოდ დაუღალავი შრომით მიეღწევია, ამიტომაც სრულიად ახალგაზრდა წარადგინა ფოთის საზოგადოებამ მასწავლებელთა საკავშირო ყრილობაზე დელეგატად, მე-5 საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, დირექტორის მოადგილედ, საკრებულოს დეპუტატად, ფოთის საპატიო მოქალაქედ... მარადიულ სასუფევლამდე კი ჯილდოდ უდიდესი სიყვარული წარუმძღვარა, იმისთვის, რომ კვლავ ანათებდეს მისი სახელი და დიდება...

ცხოვრებაში პირველად ვნახე, შენი დაკრძალვის დღეს, როგორ იღვრებოდნენ ცრემლებად შენი გზაგაკვალული მამაკაცები, მადლიერებით გიკოცნიდნენ გაყინულ ხელებს, როგორი სიყვარულით გეთხოვებოდნენ. ეს დღე იყო შენი გავლილი ცხოვრების უკვდავების გზის დასაწყისი, იქნებ ამისთვის ემზადებოდი შვიდი ათეული წელიწადი? კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჭეშმარიტი პატიოსნება იყო შენი პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრება. შენი სიამაყე სხვას აამაყებდა შენი არსებობის გამო... ამიტომაც მაბედნიერებდა ყოველთვის შენი სახელის ხსენება, სიყვარულით მათბობდა და ყოფას მილამაზებდა. შემიძლია თამამად ვთქვა, მამაჩემი შენი და შვილების სიყვარულს შორის ზღვარს არასოდეს ავლებდა და ცდილობდა მამაშვილური სითბო არ მოეკლო, ობლობა რომ არ გეგრძნო. ამიტომაც იყო მარტო ბავშვობა კი არა, სტუდენტობაც ერთმანეთის გვერდიგვერდ რომ გაგვატარებინა...

დრომ ულმობელმა ვერ შეძლო და ვერ დაგვაშორა, პირიქით, ერთმანეთის ავ-კარგის თანაზიარი გაგვხადა.

ეს ერთი წელიწადი შენს მონატრებაში გაილია, ჩემი და ჩემი დის გაუნელებელო ტკივილო. საფლავის ქვიდან ღიმილიანი გვიყურებ, მე კი ყოველ ჯერზე მადლობით გეთხოვები. მადლობით, რადგან არსებობდი, მადლობით იმ სიყვარულისთვის, რომელიც დღესაც გვათბობს და გვასწავლის სხვათა სიყვარულს, სამართლიანობას, პირდაპირობას. შენ იყავი მაგალითი როგორი უნდა იყოს მეგობარი, და, მეზობელი. შენი ყოველი ნაბიჯი სიკეთით, კეთილშობილებით, ადამიანურობით იყო გაჯერებული...

ისევე როგორც სიცოცხლეში, ხშირად გესაუბრები, მაგრამ კალამი არ მომყვება, სიტყვებს ვერ ვპოულობ, თითქოს ახლა ვხვდები როგორი ახლობელი და სათაყვანებელი ყოფილხარ.

ღირსეულ სიცოცხლესთან სიკვდილი უძლურია, ვერაფერს აკლებს, პირიქით, უკვდავების წილნაყარს ხდისო,–გვეტყოდა მამა. შენი ცხოვრებაც ხომ ამის დასტური იყო.

ხმამაღლა არასოდეს მითქვამს როგორი ბედნიერი ვიყავი, თქვენ რომ გვერდით მყავდით. ალბათ, ამიტომაც სიკვდილის აღარ მეშინია ასევე ბედნიერი ვემზადები თქვენთან შესახვედრად–გულწრფელი და სიყვარულით სავსე... ბოლოსდაბოლოს ხომ ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. მთავარია ლამაზი სიკვდილის შვილები ვიყოთ.

შეხვედრამდე, ჩემო გაუნელებელო ტკივილო, სიყვარულო და მონატრებავ.

მერი ლაგვილავა.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლები მწუხარებაში თანაუგრძნობენ მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსს ქალბატონ შოლინა კანკიას მეულლის

ალეგრა ბუკიას

გარდაცველების გამო.

ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ გუნდის მთავარ მწვრთნელს პაატა ბუკიას მამის

ალეგრა ბუკიას

გარდაცვალების გამო.

ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ სასპორტო სკოლის მედდა ელისო კოხიას მამის–განათლების დარგის დამსახურებული მოღვაწის

ჯოდო კოხიას

გარდაცვალების გამო.

ალეგრა ბუკია

„მეზობელო კარისაო...“



მართლაცდა წუთისოფელო–ცხოვრება უბედურიშ სქუა ხარ, უფალო შემიწყალე სამდურავი სიტყვისთვის. ცხოვრების გზის გადასახედიდან–ანიდან ჰოემდე ბევრ ნაცნობს თუ მოყვარეს, მეგობარს, კოლეგას, ნათესავს თუ კარის მეზობელს შეიძენ. აკრეფის ჟამს ხარობ მათთან ურთიერთობით, მეგობრობით. მაგრამ ვაი რღვევას, დაკლებას, სიკვდილს–ადამიანთა მოდგმის მტერს, მაგრამ არის კარგი რამ, რაც დიდებულმა ქართულმა სიკვდილის გასანეიტრალებლად, უფლის ნებით, მოგვმადლა–სიტყვა გარდაცვალება, რამეთუ ის იტევს და ტოლია იმ ფერთა გამისა, რომელსაც ფერისცვალება ჰქვია. მე რაოდენ მტკივა ეს ფერიცვალება ჩემო კარის მეზობელო–ძმაო ალეგრა. რაღა შენი დაბადების დღეს იცვალე ფერი, რაღა მაინცდამაინც 28 მაისს „გაახარე“ შენი მშობლები და გამზრდელები.

ქაღალდს ვანდობ და შენ გეუბნები ჩემო მოყვარევ, ბევრი რამის გახსენება მინდა, მაგრამ გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო, გეტყვი–მე და ტატიანა დეიდას გვტკივა, განვიცდით უშენობას. სულ რაღაც 21 დღეა გაგაცილეთ სამუდამო საცხოვრისისკენ და სამუდამოდ ჩვენს გულში დაიდე ბინა მარადიული ღრმა ხსოვნის ნიშნად.

შენ კარგი ოჯახის მამა და მეუღლე იყავი, კაცი ბუნებრივად ნიჭიერი და მრავალმხრივი შინაგანი სევდით, მაგრამ მუდამ მხნე, მხიარული, მკვირცხლი მეგრელი, საუცხოოდ ტყუილ-მართლის გამრჩევი და გზამკვლევი-დამრიგებელი, ქვრივ-ობოლთა, ხელმოკლეთა დამხმარე, მოხუცთა მოყვარე და პატივისმცემელი. შენ ის კაცი ხარ, რომელსაც პურ-მარილი და მასპინძლობა გიყვარდა. მტერ-მოყვარის მოკითხვა, ჭირ-ვარამში მხარში დგომა, პატარა ბავშვივით კმაყოფილდებოდი, როცა გასცემდი, სხვისი გახარებით ხარობდი. მე ვიხსენებ იმ ნიუანსებს, რომელიც შენში უხვად იყო. ბუნებით ღვთისმოშიში და მოყვარე, ალალი და ტოლერანტი.

კარგი ქართულით, მეგრულითა და რუსულით ენაქარგული. ლამაზი ტემბრითა და კილოთი საუცხოოდ მოსაუბრე. ქართულ თუ მსოფლიო ლიტერატურაში, სპორტსა თუ კულტურაში, ხალხურ თუ კლასიკურ მუსიკაში, ისტორიასა და ფილოსოფიაში ჩახედული უგანათლებულესი პიროვნება, მოსიარულე ენციკლოპედია იყავი ჩემო ძმაო. ჰაი, ჰაი რა ნიჭიერება დათანხმდა გარდაცვალებას...

სიცოცხლე გრძელდება შენი გენის–პაატას სახით. გაივლის დრო და ივლიან ამ დუნიაზე მომავალი ახალი ბუკიები.

დღეს უკვე 21-ე დღეა რომ მიუყვები მარადიული გზის ჯერ კიდევ შენთვის გაუკაფავ ბილიკებს. მე შენი და, ვფიქრობ, სანთლების ლაციცით, ლოცვებით და ფსალმუნებით გეხმარები ურთულესი გზისკენ მიმავალს... შევთხოვ უფალს, რომ სულმან შენმან კეთილთა შინა განისუვენოს და ნათესაუმან შენმან დაიმკვიდროს ქვეყანა.

მშვიდობით.

შენი კარის მეზობლები
ნანა ჯალალონია, ტატიანა დეიდა (შენი ზატულოვსკაია).

გიო ბუკია

წლების უკან თბილისში დატრიალებულმა ტრაგედიამ 3 წლის გიოს სიცოცხლე იმსხვერპლა ხოლო, მისი მშობლები სასწაულებრივ გადაურჩნენ სიკვდილს.

გლოვობდა სოფელი პირველი მაისი. მწუხარებით უსამძიმრებდა მთელი ხობი ზურაბ და დარეჯან ბუკიების ოჯახს. მას შემდეგ 7 წელი გავიდა, მაგრამ ტკივილი ტკივილად დარჩა, ვერაფერმა შეავსო გიოს არყოფნით გამოწვეული სევდა. თვალცრემლიანი, გულდათუთქული დადიოდა ბატონი ზური, დიდ ნაღველს არავის აგრძნობინებდა, ვერ გაუძლო და 61 წლის ასაკში შვილიშვილთან გადასახლდა მარადისობაში.

19 ივნისი გიოს დაბადების დღეა, 10 წელი უსრულდება, წელს იმქვეყნად პირველად შეხვდებიან ბაბუა და შვილიშვილი ერთად ამ დღეს.

გიოს გულდათუთქული მშობლები ჩინეთის რესპუბლიკაში ქალაქ შენჟენში ცხოვრობენ და ქართულ კულტურას, კერძოდ, ქართულ-ეროვნულ ცეკვებს აცნობენ და ასწავლიან ჩინელებს.

ბებია დარეჯან შამათავა, ბიძა ნუკრი ბუკია, ბიცოლა ანა მიქაია, ბიძაშვილები ბარბარე და ილია დამწუხარებულები იხსენიებენ პატარა გიოს და ულოცავენ დაბადების დღეს. ის კი მშვიდად ზეციური საუფლოდან დაჰყურებს მის ახლობლებს. მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა.

გიგლა კვიკვინია

ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გვანცა კიკალეიშვილს მამის, დამსახურებული აგრონომის კეთილშობილი პიროვნების, ღირსებითა და პატიოსნებით შემკული ადამიანის

ედიშერ კიკალეიშვილის

გარდაცვალების გამო.

ბლიც ინტერვიუ

პანდემიის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განხორციელდა უცხოეთში დროებით მცხოვრები მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნების უზრუნველყოფა.

მათ შორის იყო მომავალი ლიდერთა გაცვლითი პროგრამის FLEX–ის გამარჯვებული, ხობის №2 საჯარო სკოლის მოსწავლე ირაკლი შონია, რომელიც გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, იმყოფებოდა ამერიკის შეერთებული შტატებში.

ხობში დაბრუნების შემდეგ მას შეხვდა და ესაუბრა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი ნინო სიჭინავა.

გთავაზობთ მათი საუბრის ჩანაწერს მცირეოდენი შემოკლებით.

„თურმე ოცნებებიც ხდება“

ირაკლი, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ თქვენ ხართ გამორჩეული ახალგაზრდებიდან ერთ-ერთი საამაყო ხობელი, სასახელო ახალგაზრდა. მინდა გაეცნო მუნიციპალიტეტის გაზეთის მკითხველს, ვინ არის ირაკლი შონია?

–მე ვარ ირაკლი ალიკას ძე შონია. ვსწავლობ ქ. ხობის №2 საჯარო სკოლაში, ვარ აბიტურიენტი, მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამის FLEX-ის გამარჯვებული.

ერთი წელი გავატარე ამერიკის შეერთებული შტატების შტატ ოჰაიოს პატარა ქალაქ კენტონში, პატარა სკოლა რიჩმონდში.

მაინტერესებს როგორ მიგიღეს, როგორ აეწყო ურთიერთობები და რა ხდება დღეს?

–სიმართლე გითხრათ, ვიდრე გავემგზავრებოდი სულ სხვანაირად წარმომედგინა ჩემი ამერიკული ცხოვრება, მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვა, რომ იქ დამხვდა სულ სხვა გარემო, თბილი ადამიანები და გახსნილი ურთიერთობები, თუმცა ამერიკულ კულტურასთან, ამერიკელ ხალხთან დაკავშირებით არანაირი მოლოდინები არ შემიქმნია, თუ ვიტყვი, ის დამხვდა, რაც წარმომედგინა, მოვიტყუებ, მაგრამ ბედნიერი ვიყავი თბილი ადამიანების გარემოცვით...

ზოგადად პროგრამის მონაწილეები ოჯახებში ცხოვრობენ, შენს შემთხვევაში როგორ იყო, მომიყევი სად და როგორ ცხოვრობდი?

–დიახ, გაცვლითი პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფოსგან ერთწლიან სრულ დაფინანსებას ამერიკულ ოჯახში, რომ სტუდენტებმა ამერიკულ სკოლაში სწავლისას მიიღონ სრული კომფორტი და მეც გამანაწილეს ერთ-ერთ არატიპიურ ოჯახში, სადაც 3 მამაკაცი ვცხოვრობდით–მასპინძელი მამა, გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტუდენტი და მე. შესაბამისად მომიწია იმ მოვალეობების შესრულება, რაც უმეტესად მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს ევალებთ. ჩვენი თანაცხოვრება, ოჯახური ჰარმონიულობა, თბილი გარემო და ურთიერთობები, იყო ის, რამაც ხელი შეგვიწყო სწავლაშიც და ამერიკული ცხოვრების გაცნობაში.

ახალ სკოლაზე მინდა გკითხო, მგონია ძალიან კარგად უნდა ფლობდე ინგლისურ ენას, ამერიკულ სკოლაში სწავლა რომ შეძლო. მაინტერესებს, ინგლისური ენის საფუძველი სკოლამ მოგცა, თუ?

–სიმართლე გითხრათ FLEX პროგრამა არ ითვალისწინებს ინგლისური ენის ზედმიწევნით ცოდნას, არამედ უპირატესობა ენიჭება ცხოვრებისეულ უნარებზე, სიტუაციებზე მორგებას. შემიძლია გითხრათ, რომ როგორც ჩვენ, მათაც აქვთ ბარბარიზმები, სამეტყველო ენა, მაგრამ არ გამჭირვებია ამ ენაზე მორგება, რადგან მქონდა ყოველდღიური ურთიერთობა ინგლისურენოვან ხალხთან, მხოლოდ პირველი 2 კვირა იყო შეჩვევის ეტაპი.

თანატოლებზე მოგვიყევი, რა განსხვავებაა ამერიკელ და ქართველ თანატოლებს შორის?

–მე პატარა სკოლაში ვსწავლობდი და შესაბამისად ურთიერთობებიც უფრო მჭიდრო იყო. არ გამჭირვებია სკოლის საზოგადოებასთან ინტეგრაცია და შეგუება, ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ სკოლაში გაცვლითი პროგრამით ჩამოსულ სტუდენტებს დიდი პატივით ხვდებოდნენ. თავიდან მე უნდა გამომეჩინა ინიციატივა, მაგამ ვიდრე ამას მოვახერხებდი, მათ დამასწრეს... ორივე მხრიდან შედგა კომუნიკაცია, თავიდან ენის ბარიერის გადალახვა მოგვიხდა და შემდგომ ყველაფერი მოგვარდა...

პირველი განსხვავება, რაც ქართველ და ამერიკელ თინეიჯერებს შორის შევნიშნე, პირდაპირ თუ ირიბად განათლების სისტემას უკავშირდება. ადვილი შესამჩნევია, მათი მზაობა მომავალი პროფესიის მიმართ. თვითკრიტიკით უნდა აღვნიშნო, მე პროფესიაზე ორიენტირებული სწორედ იქ გავხდი, თუმცა იქ თავის გამოჩენის მეტი შესაძლებლობების რესურსი იყო, ვიდრე ჩვენს სკოლაში. შესაბამისად ვიწრო თვალთახედვაში უფრო ძნელია ფართო სპექტრის დანახვა, რაც ცხოვრებაში მოგვეცემა. ეს იყო ჩემი აზრით ყველაზე დიდი განსხვავება.

როგორც ვიცი სხვადასხვა ქალაქებში გიწევდა მოძრაობა. ახლა უფრო გლობალურად მომიყევი, როგორია თქვენი თვალით დანახული ამერიკა და მართლა ხდება ოცნებები?

–ჩემი ოცნება იყო მენახა ნიუ-იორკი. აქ ყოველ ნაბიჯზე შეგიძლია დაინახო განსხვავება ქართულ და ამერიკულ ცხოვრებას შორის. არც არის გასაკვირი, რადგან ზოგადად იქ ცხოვრების რიტმი სხვაგვარია, ისინი თავისუფალ დროს უქმად არ ატარებენ. საზოგადოების უმეტესობა ფიქრობს საკუთარ თავზე და ცდილობს ყოველი წუთი იყოს უფრო პროდუქტიული.

რას ურჩევ ხობელ ახალგაზრდობას, ვისაც მომავალში მოუწევს იმ გზის გავლა, რაც შენ გაიარე. ე.ი. საქართველოდან ამერიკამდე.

–პირველ რიგში მინდა გითხრათ, ვნანობ, რომ ხობში დრო უფრო პროდუქტიულად არ თუ ვერ გამოვიყენე. უპირველესად მინდა მათ ვურჩიო, რომ დრო მაქსიმალურად გამოიყენონ. მართალია, ხობში ამის რესურსი ნაკლებია, მაგრამ რაც არის იმას თუ გამოიყენებ, ჩაერთვები იმ პროექტებსა და აქტივობებში რის შესაძლებლობას გაძლევს შენი პატარა ქალაქი, მგონია მეტ გამოცდილებას მიიღებ და პიროვნულადაც გაიზრდები...

ირაკლი, პანდემიის დროს მოგიწიათ ჩამოსვლა...

–საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სპეცრეისით სტუდენტები ჩამოგვიყვანეს საქართველოში, გაგვანაწილეს კარანტინის ზონაში (მე წინანდალში მომიწია) ხუთვარსკვლავიან სასტუმროში, საუკეთესო კვებით და სამედიცინო მომსახურებით, გავდიოდით რეგულარულ სამედიცინო შემოწმებას, მაღლობელი ვარ მთლიანად გუნდის, ვინც ამ დროს ჩვენს გვერდით იდგა.

ფილიცანებს!

ლუკა და ლიზი ლომჯარიებს!

ჩემო საყვარელო შვილიშვილებო, წელს შორიდან გილოცავთ დაბადების დღეებს, რომელიც მუდამ ჩემი ცხოვრების თანმდევია.

ლუკა, ლიზი, ჩემო პატარებო, ჩემთვის და ყველა ჩვენიანისთვის უსაყვარლესო და სანატრელებო, გილოცავთ და გკოცნით, გკოცნით და გილოცავთ დაბადების დღეებს.

იყავით მუდამ ასეთი სიყვარულით და სიხარულით აღსავსე. დედიკოს, მამიკოს და ყველა თქვენიანისთვის უძვირფასესებო. გაიზარდეთ ჯანმრთელები და სასახელოები.

ჩემო მონატრებულებო, ყველა ნატვრა და ლამაზი სურვილების ახდენა დაგბედებოდეთ.

მაყვალა ბებო.

მარმარე ვაჟაჩიას!

ჩვენო საყვარელო, გილოცავთ დაბადების დღეს, ულევ სიხარულს, წარმატებებს სწავლაში, ჯანმრთელ და ხალისიან ცხოვრებას გისურვებთ. შენი ყოველდღიურობით ჩვენც გვახალისებს და გვახარებ.

შენს დღეს ვულოცავთ მამიკო გელას, დედიკოს, ჩვენს მეგობარ ჯულიეტა ლატარიას. ბედნიერ დღეთა სიმრავლეს გისურვებთ.

რედაქციელები.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი (დირექტორი კობა კობახიძე).

სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, ნინო სიჭინავა, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.

ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.

ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.

დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.